წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

15-29 სექტემბერი, 2012

მედია მონიტორინგის დროს 15-29 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გამოვლენილი <u>ძირითადი მიგნებები</u>:

- მაესტროს გარდა ყველა არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება.
- პირველ არხზე ყველა პარტიას დაეთმო დრო, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად.
- რუსთავი 2-სა და იმედზე დათმობილი დროის მიხედვით პირველი ხუთეულის თანმიმდევრობა ემთხვევა, თუმცა პროცენტული მაჩვენებლბი განსხვავებულია.
- მეცხრე არხზე კოალიცია ქართულ ოცნებას ამ არხისთვის უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს (41%).

- პირველ არხზე, მაეტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე მთავრობას პირდაპირი საუბრის წილი 22 პროცენტზე ნაკლები აქვს.
- რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროსა და რეალ ტვ-ზე პრეზდენტის პირდაპირი საუბრის წილი 70 პროცენტი ან მეტია.
- კოალიცია ქართული ოცნების პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება ყველა არხზე მეტ-ნაკლებად თანაბარია.

- რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დათმობილი დროის უმეტეს შემთხვევაში დადებითი ტონით გაშუქდა. ხოლო კოალიცია ქართული ოცნება - უარყოფითი ტონით.
- მეცხრე არხზე მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი ძირითადად უარყოფით კონტექსტში შუქდებოდა.

- მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე კოალიცია ქართული ოცნების დადებითმა გაშუქებამ მოიმატა.
- მაესტროსა და კავკასიაზე ერთიდაიგივე სუბიექტები როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად შუქდებოდა.
- პირველ არხზე მონიტორინგის ამ პერიოდში იმატა სუბიექტების დადებითად გაშუქებამ.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ყოველთვის ითვლება ცალკე, მიუხედავად იმისა ის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით აკეთებს განცხადებას თუ არა. თუმცა, თუ სხვა პოლიტიკური ფიგურები, როგორებიც არიან, მაგალითად: ვანო მერაბიშვილი, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა და ა.შ., გამოდიან პარტიის სახელით და აკეთებენ მიმართვას ან

კანდიდატების წარდგენას ისინი ითვლებიან როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და არა როგორც „მთავრობა“ ან „პარლამენტი“.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები

სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 1-21 სექტემბრის პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მოხვდნენ მხოლოდ ის პარტიები და გაერთიანებები, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. დანარჩენი სუბიექტები, როგორებიცაა მთავრობა, პრეზიდენტი, პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები,[1] ცესკო, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია (სია), დამკვირვებლები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, უცვლელია.

[1] მონიტორინგი ადგილობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გაშუქებას აკვირდება მხოლოდ საარჩევნო კონტექსტში.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებს 15-29 სექტემბრის პერიოდში სულ 5 საათი და 26 წუთი დაეთმო. დრო საკმაოდ თანაბრად არის გადანაწილებული სუბიექტებს შორის. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე ყველა პარტიას დაეთმო დრო, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. სუბიექტების უმრავლესობას, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ირიბი საუბრის წილი. ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი პრეზიდენტისა და მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა. გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალურია ყველა სუბეიქტის მიმართ, როგორც საერთო, ასევე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში. თუმცა, ორივე შემთხვევაში, თითქმის ყველა სუბიექტი დადებითი ტონითაცაა გაშუქებული. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი, საერთო ტონის შემთხვევაში, მთავრობასა და პრეზიდენტს აქვთ. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურებიც. 18 სექტემბერს პირველ არხზე საინფორმაციო გამოშვება არ გასულა, რადგან ამ დროს ეთერი დაეთმო პოლიტიკურ პარტიებს შორის წინასაარჩევნო დებატებს. შესაბამისად, პირველ არხს ამ დღის საღამოს ეთერში პატიმართა წამებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გაუშუქებია. თუმცა, მომდევნო დღეებში ამ თემასთან დაკავშირებით მომზადდა სიუჟეტები. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია. რაც შეეხება ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის პერიოდში (15-29 სექტემბერი) პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ ჯამში შეადგინა 5 საათი და 26 წუთი, რომელიც საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა მონიტორინგის სუბიექტებს შორის. დათმობილი დროის ყველაზე დიდი წილი, 19 პროცენტი, დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებასა და ლეიბორისტულ პარტიას თითქმის ერთნაირი დრო დაეთმო (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12%, ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება 11% და ლეიბორისტული პარტია 10%). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში

პირველ არხზე გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყველა პარტიას დაეთმო დრო, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. თუმცა, განსხვავება პარტიებისთვის დათმობილ მაქსიმალურ და მინიმალურ დროებს შორის საკმაოდ დიდია. ყველაზე მეტი დრო ქართულ ოცნებას დაეთმო - 1 საათი და 3 წუთი და ყველაზე ცოტა - საქართველოს სპორტსმენთა კავშირს - 4 წამი. (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ აღსანიშნავია, რომ სუბიექტების უმრავლესობას, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ირიბი საუბრის წილი. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი წილი, 76 პროცენტი (თითქმის 11 წუთიდან), ადგილობრივი არასამთავრობოების შემთხვევაში დაფიქსირდა. ასევე მაღალი პირდაპირი საუბრის წილი აქვთ ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას (70% თითქმის 37 წუთიდან) და ლეიბორისტულ პარტიას (71% თითქმის 33 წუთიდან). პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი წილი კი, მთავრობისა (22% თითქმის 25 წუთიდან) და პრეზიდენტის (35% 15 წუთიდან) შემთხვევაში გამოვლინდა. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას გამოვლინდა, რომ პირველ არხზე მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება. აქვე აღსანიშნავია, რომ უმეტეს სუბიექტებს დადებითი გაშუქების წილი 10 პროცენტზე მეტი აქვთ. ყველაზე მეტი დადებითი გაშუქების წილი ქართულ დასს (28 პროცენტი თითქმის 18 წუთიდან), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (26 პროცენტი თითამის 49 წუთიდან) და ლეიბორისტულ პარტიას (22 პროცენტი 38 წუთიდან) აქვთ. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის მხოლოდ 4 სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მონიტორინგის ამ პერიოდში, პრეზიდენტსა (37% 15 წუთიდან) და მთავრობას (32% 26 წუთიდან) აქვთ. აღსანიშნავია, რომ ამ ორი სუბიექტის შემთხვევაში ნეიტრალური ტონი ყველაზე დაბალია (მთავრობა 54 პროცენტი, პრეზიდენტი 42 პროცენტი) და ისინი გაშუქებული არიან როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ტონით. კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი თანაბრად, 7-7 პროცენტი უარყოფითი ტონის წილი აქვთ. (იხ. დიაგრამა Tone 1)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, ნეიტრალური ტონისა და დადებითი ტონის განაწილება, უმეტესი სუბიექტების შემთხვევაში, გავს საერთო ტონის სურათს. ამ შემთხვევაშიც სუბიექტების უმეტესობა ნეიტრალურად არის გაშუქებული, თუმცა თითქმის ყველა სუბიეტქს დადებითი გაშუქების წილიც აქვთ. ჟურნალისტის ტონში ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონის წილი მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა - 17 პროცენტი 6 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგის ამ პერიოდში პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე ჭარბობს ნეიტრალური შინაარსის მქონე სიუჟეტები. დადებითი გაშუქების შემთხვევები იშვიათია და ძირითადად ფიქსირდება სერიის „პოლიტიკოსები პოლიტიკის მიღმა“ ფარგლებში, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პირველი ნომრების ოჯახებისა და ცხოვრების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში. რაც შეეხება უარყოფით საერთო შთაბეჭდილებას, მონიტორინგის პერიოდში ასეთი შემთხვევები ცესკოს მიმართ დაფიქსირდა, რადგან ამ პერიოდს დაემთხვა ცესკოს მიერ მიღებული რეგულაციები საარჩევნო უბნებზე ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით.

ასევე, რიგ სიუჟეტებში უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა მთავრობასა და პრეზიდენტზე, პატიმრების წამებასთან დაკავშირებული ფაქტების ამსახველ სიუჟეტებში. 18 სექტემბერს გავრცელდა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოები, რასაც მოჰყვა საპროტესტო აქციების ტალღა ქვეყანაში, რიგი სახელმწიფო მოხელეებისა და ციხის თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნა და პასუხისგებაში მიცემა. 18 სექტემბერს პირველ არხზე საინფორმაციო გამოშვება არ გასულა. ამ დროს პირდაპირ ეთერში პოლიტიკურ პარტიებს შორის წინასაარჩევნო დებატები მიმდინარეობდა. შესაბამისად, პირველ არხს ამ დღის საღამოს ეთერში ეს მოვლენები არ გაუშუქებია. თუმცა, მომდევნო დღეებში ამ თემასთან დაკავშირებით მომზადდა სიუჟეტები, რომლებიც ეხებოდა როგორც საპროტესტო აქციებს, ასევე გავრცელებულ ვიდეოებსა და მის შეფასებებს. ამ სიუჟეტებიდან რჩებოდა უარყოფითი

შთაბეჭდილება მთავრობის წარმომადგენლებზე და ამ უარყოფით შთაბეჭდილებას, ძირითადად, რესპოდენტების საუბარი ქმნიდა.

მაგალითად, 19 სექტემბრის სიუჟეტში „ვითარება გლდანის საპყრობილესთან" რესპოდენტები ადანაშაულებენ ბაჩო ახალაიას (ყოფილ შსს მინისტრს) და მის გადადგომას მოითხოვენ. სიუჟეტში „საპროტესტო აქციები" რესპოდენტები არამარტო ბაჩო ახალაიას და ხათუნა კალმახელიძის (ყოფილი სასჯელაღსრულების მინისტრის) გადადგომას, არამედ მათ დასჯასაც მოითხოვენ. სიუჟეტი „პოლიტიკოსების შეფასება" ნეგატიურ შთაბეჭდილებას ქმნის პრეზიდენტსა და მთავრობაზე, რადგან რესპოდენტები მომხდარ ფაქტში მათ ადანაშაულებენ.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და სხვადასხვა მოსაზრებაა წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო. ასევე, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გრძელდება სიუჟეტები, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკაში „საარჩევნო ქრონიკა" ან „საარჩევნო მოამბე", სადაც საარჩევნო სუბიექტების კამპანია და პროგრამა შუქდება. ამ სიუჟეტების შემთხვევაში რთულია ბალანსზე საუბარი.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები თითქმის ყოველთვის მოცემულია.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში უკვე რამდენიმე თვეა პირველ არხს საინფორმაციო გადაცემაში აქვს პირდაპირი ჩართვა მოწვეულ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან. მონიტორინგის 15-29 სექტემბრის პერიოდში პირველ არხზე სულ 9 ასეთი ჩართვა იყო და თითოეულის საშუალო ხანგრძლივობა 10 წუთს შეადგენდა. აღნიშნული ჩართვების სტუმრები იყვნენ: ზურაბ აბაშიძე (კოალიცია ქართული ოცნება), ნინო გობრონიძე (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), ნაზი ჯანეზაშვილი (კონსტიტუციის 42-ე მუხლი), ეკა გიგაური (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო), ზურაბ ხარატიშვილი (ცესკოს თავმჯდომარე), შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტია),

ლევან ვეფხვაძე (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება), ჩიორა თაქთაქიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და მანანა კობახიძე (კოალიცია ქართული ოცნება).

მოცემულ ჩართვებში ერთი სტუმარია წარმოდგენილი და საუბარი არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ სიახლეებსა და პარტიების საარჩევნო პროგრამებს ეხება. ჟურნალისტი უმეტესწილად აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ იმ შემთხვევაში აწყვეტინებს საუბარს, როცა სურს დამატებითი კითხვა დაუსვას, დააზუსტოს რამე, დროის სიმცირეა ან რესპოდენტი გასცდა სასაუბრო თემას. წამყვანის კითხვები სტუდიაში მოწვეული სტუმრებისადმი ზოგჯერ ნაკლებად მომთხოვნია, ზოგჯერ კი - მეტად. მაგალითად, 25 სექტემბრის ჩართვაში, სადაც ჟურნალისტის კითხვებს ცესკოს თავმჯდომარე პასუხობდა, კითხვები საკმაოდ მომთხოვნი იყო. ჩართვის მანძილზე ჟურნალისტმა რამდენჯერმე დასვა კითხვა, თუ რატომ გახდა ფოტო და ვიდეო გადაღებებზე რეგულაციის მიღება აუცილებელი, და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მისთვის ცნობილი საერთაშორისო სტანდარტებით, ჟურნალისტებსა და დამკვირვებლებს შეუზღუდავად მუშაობის უფლება აქვთ.

რუსთავი 2

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე სუბიექტებს, ყველა სხვა არხთან შედარებით, ყველაზე მეტი დრო, 9 საათი და 25 წუთი, დაეთმო. კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს თანაბრად ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში ასევე მოხვდნენ მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. სუბიექტების ასეთი მიმდევრობა პირველ ხუთეულში რუსთავი 2-სა და იმედის შემთხვევაში ერთნაირია, თუმცა პროცენტული მაჩვენებლები განსხვავდება. პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს, მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნებისა და მთავრობის შემთხვევაშია ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალი. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, თვალში საცემია პრეზიდენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, მთავრობისა და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანებისა დადებითი გაშუქება. ამავე

დროს, კოალიცია ქართული ოცნების უარყოფითი გაშუქება. დადებითი და უარყოფითი ტონების განაწილება საერთო და ჟურნალისტის შემთხვევაში მსგავსია. სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია. დადებითი სიუჟეტები ხელისუფლების წარმომადგენლებს და ხელისუფლებას ეხება, უარყოფითი სიუჟეტები - კოალიცია ქარტულ ოცნებას. პატიმრების წამების ვიდეოს გავრცელების შემდეგ გაჩნდა სიუჟეტები, სადაც უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა ხელისუფლებაზე, თუმცა, უმეტესად ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში მთავარი აქცენტი იყო არა თვითონ წამების ფაქტებზე, არამედ სქემაზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა კოალიცია ქართულ ოცნებასთან და ხელისუფლების რეაქციაზე. ასევე დიდი დრო დაეთმო სიუჟეტებს გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერების შესახებ, სადაც კოალიციის ცალკეული წევრები ძალიან უარყოფითად წარმოჩინდნენ. წინასაარჩევნოდ ფარგლებში იმატა ისეთი სიუჟეტების შემთხვევებმა, სადაც უმეტესად მხოლოდ ერთი მხარე ან წყაროა წარმოდგენილი.

მონიტორინგის პერიოდში (15-29 სექტემბერი) რუსთავი 2-ზე ყველა სუბიექტს, სხვა არხებთან შედარებით, ყველაზე მეტი დრო, ჯამში 9 საათი და 25 წუთი, დაეთმო. კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს თანაბრად ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ - 26-26 პროცენტი. დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილას არის მთავრობა 19 პროცენტით, მეოთხეზე კი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს 6 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. აღსანიშნავია, რომ დათმობილი დროის მიხედვით სუბიექტების მიმდევრობა პირველი ხუთეულის შემთხვევაში რუსთავი 2-სა და იმედზე ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა პროცენტული მაჩვენებლები განსხვავებულია. (იხ. დიაგრამა Time 2 და დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ, იმ სუბიექტებს, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ მოცემულ პერიოდში, თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს და 60 პროცენტზე მეტია. მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნებისა და მთავრობის ეს მაჩვენებელი დაბალი. ორივე სუბიექტს თანაბრად 48-48 პროცენტი პირდაპირი საუბრის წილი აქვთ. ყველაზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი აქვს პრეზიდენტს - 78 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, სურათი საკმაოდ დაუბალანსებელია. რაც იმაში გამოიხატება, რომ რამდენიმე სუბიექტი ყოველთვის დადებითად შუქდება და ერთი სუბიექტი - ძირითადად ყოველთვის უარყოფითად. თვალში საცემია პრეზიდენტის (68%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (54%) და მთავრობის (24%) დადებითი გაშუქება. დადებითად გაშუქების შედარებით მაღალი წილი აქვს ასევე ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას - 34 პროცენტი 35 წუთიდან. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ძირითადად მხოლოდ ერთი სუბიექტის მიმართ დაფიქისრდა, რომელსაც ყველაზე მეტი დრო 2 საათი და 45 წუთი დაეთმო: კოალიცია ქართული ოცნება - 59 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი საკმაოდ მსგავსია. დადებითი და უარყოფითი ტონები მსგავსად არის გადანაწილებული იგივე სუბეიქტებს შორის. ყველაზე მეტი დადებითი ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტის შემთხვევაში - 76% 27 წუთიდან, რაც საერთო ტონში გამოვლენილ დადებით ტონზე მაღალია. ჟურნალისტის დადებითი ტონი ასევე მაღალია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (41% 19 წუთიდან), ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანებისა (33% 9 წუთიდან) და მთავრობის (13% 36 წუთიდან) შემთხვევაში. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ისევე როგორც საერთო ტონის შემთხვევაში, ყველაზე დიდი მაჩვენებელი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - 56 პროცენტი 51 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Tone J2)

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე გასული სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია.

რუსთავი 2-ზე მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ეხება უმეტესად პრეზიდენტს, მთავრობას, პრემიერმინისტრს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებში ხშირადაა ნაჩვენები ტაში, სკანდირება და ზოგჯერ გამოყენებულია პოზიტიური მუსიკა, რაც დადებით ფონს ქმნის.

18 სექტემბრის სიუჟეტი „პრემიერ მინისტრი რაჭაში" დადებითად წარმოაჩენს ვანო მერაბიშვილს. პრემიერი ხვდება სეტყვით დაზარალებულ გლეხებს და პირდება, რომ სახელმწიფო შეისყიდის დასეტყვილ ყურძენსაც კი. ამის შემდეგ, იგი მიემართება ერთ-ერთი ადგილობრივის ოჯახში და პირადად ანთებს იქ პირველად ახლადგაყვანილ გაზს. მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი მიდის ქახანაში და ხვდება საგზაო სამუშაოებზე დასაქმებულებს. ამასთანავე, ჟურნალისტი დადებითად აღწერს გაზიფიკაციის პროცესს, ქარხნის მუშაობასა და საგზაო სამუშაოებზე დასაქმებულების მდგომარეობას. ნაჩვენებია კმაყოფილი მოქალაქეები, რომელთაგან ერთ-ერთის თქმით, გაზის გაყვანა წლების მანძილზე მათი აუხდენელი ოცნება იყო.

26 სექტემბრის სიუჟეტი „გორის იუსტიციის სახლის გახსნა" ძალიან დადებითად წარმოაჩენს მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც გახსნა იუსტიციის სახლი გორში. სიუჟეტში ჩანს ბევრი ხალხი, ისინი პრეზიდენტს ართმევენ ხელს, ლოცავენ და აქებენ ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „ჩემი ლამაზი პრეზიდენტი". მიხეილ სააკაშვილი, ასევე, ეწვია ინგლისური ენის ცენტრს და სტუდენტ გოგოებს მიესალმა ინგლისურად „hello, girls". სიტყვით გამოსვლის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი უერთდება ხალხს და ესალმება ყველას.

29 სექტემბრის სიუჟეტი „პრემიერმინისტრი კლინიკებში" დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ვანო მერაბიშვილზე. ნაჩვენებია, როგორ მიდის პრემიერ-მინისტრი კლინიკებში, როგორ შეჰყვება პაციენტებს კონსულტაციაზე და ამხნევებს. ინტერესდება სადაზღვევო სისტემის მუშაობის დეტალებით და ა.შ.

ეს სიუჟეტები გადიოდა 18 სექტემბერს გამოქვეყნებული წამების ვიდეოების პარალელურად. ამ პერიოდში დადებით სიუჟეტებთან ერთად გაჩნდა რამდენიმე შედარებით უარყოფითი სიუჟეტი მთავრობაზე, რაც პატიმრების წამების ამსახველმა ვიდეო მასალამ განაპირობა. ასეთ სიუჟეტებში უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნიდა რესპოდენტების კომენტარები, ჟურნალისტის ტონი უმეტესად ნეიტრალური იყო. თუმცა, აქცენტი ამ ვიდეოების კოალიცია ქართულ ოცნებასთან კავშირზე იყო გაკეთებული. 18 სექტემბერს, როცა ეს ვიდეო გავრცელდა, საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველივე სიუჟეტი

„სკანდალური საქმე” შეეხო ციხეში წამების დაკვეთის თემას. სიუჟეტში მთავარი აქცენტი იყო არა თვითონ წამების ფაქტებზე, არამედ ყოფილი გენერლისა და პატიმრის თამაზ თამაზაშვილის სქემაზე, რომელიც „სოლიდური თანხის“ სანაცვლოდ უკვეთავდა ციხეში წამებას. სიუჟეტში ასევე ხაზგასმულია თამაზაშვილის კავშირი კოალიცია ქართულ ოცნებასთან.

ამავე დღის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტები პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის რეგიონებში ვიზიტების შესახებ („პრემიერმინისტრი რაჭაში“, „პრეზიდენტი ყულევში“, „შაორის რეაბილიტაცია“), რაც დადებით შთაბეჭდილებას ქმნიდა ხელისუფლებაზე (ზემოთ განხილულია მაგალითები); ასევე სიუჟეტი „დაპირისპირება ქართულ ოცნებაში“, რაც უარყოფითად წარმოაჩენდა ქართულ ოცნებას.[2]

მომდევნო დღეებში რუსთავი 2-მა გააშუქა ციხეებთან დაკავშირებული მოვლენები და ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები. 19 სექტემბრის გამოშვებაში მე-17 სიუჟეტად გავიდა სიუჟეტი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებზე. აღსანიშნავია, რომ 20 სექტემბრის გამოშვებაში ოთხჯერ გავიდა ერთი და იგივე შინაარსის სიუჟეტი, რომელიც ბაჩო ახალაიას განცხადებას ეხებოდა გადადგომის შესახებ. ოთხივე სიუჟეტის შემთხვევაში ჟურნალისტმა წაიკითხა ბაჩო ახალაიას განცხადება. რუსთავი 2-ზე აქცენტი გაკეთდა ხელისუფლების რეაქციაზე ამ ფაქტებთან დაკავშირებით. მაგალითად, 21 სექტემბრის სიუჟეტში „ჟურნალისტი გლდანის ციხეში” ხაზგასმულია, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ჟურნალისტებისთვის საპყრობილის კარი გიორგი ტუღუშმა გააღო. თავად ახალი სასჯელაღსრულების მინისტრი კი აღნიშნავს, რომ ციხეებში ამჟამად სიმშვიდეა და პატიმრებს აღარ ცემენ. სიუჟეტში მოყვანილია პატიმრების ახლობლების კომენტარებიც და ყველა მათგანი ამბობს, რომ გაესაუბრნენ თავიანთ ახლობლებს და ისინი ძალიან კარგად გრძნობენ თავს. მთლიანობაში სიუჟეტი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გიორგი ტუღუშმა სასწრაფო რეაგირება მოახდინა და ციხეებში უკვე დამშვიდებული სიტუაციაა. გაშუქდა საპროტესტო აქციებიც.

[2] იხ. 18 სექტემბრის გამოშვებაში დღის მთავარი მოვლენების წარდგენა შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=GApV7O45_Dw&feature=youtu.be

რუსთავი 2-ზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. უარყოფით შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ამ პერიოდში გავრცელებული ფარული აუდიო ჩანაწერები, სადაც მითითებულია კოალიციის წევრების კავშირებზე კანონიერ ქურდებთან და კოალიციის წევრების მიერ ერთმანეთზე უარყოფითად საუბარია წარმოჩენილი.

მაგალითად, 27 სექტემბრის სიუჟეტი „კოალიციური სკანდალი" უკიდურესად ნეგატიურია კოალიციის მიმართ. ჟურნალისტი რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ, ბიძინა ივანიშვილი დავალებით, დაცვის სამსახური უსმენდა კოალიციის წევრებს, შემდეგ კი აღწერს, თუ რას ეუბნებოდნენ კოალიციის წევრები ერთმანეთს სატელეფონო საუბრებში. ამას თან მოსდევს ფარული ჩანაწერები, სადაც კოალიციის წევრები იგინებიან ან უარყოფითად საუბრობენ ერთმანეთზე. ეს ყველაფერი თითქმის 20 წუთის მანძილზე გრძელდება. ამასთან, სიუჟეტში საერთოდ არ არის კოალიციის წევრების შეფასება ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით. რჩება შთაბეჭდილება, რომ სიუჟეტი მიზნად ისახავდა კოალიციაზე ნეგატიური შთაბეჭდილების შექმნას. ამავე დღის სიუჟეტი „კომპრომანტების ომი" ურაყოფითად წარმოაჩენს კოალიცია ქართულ ოცნებას, რადგან მთელი სიუჟეტი აგებულია ფარულ ჩანაწერებზე. სიუჟეტში, ასევე, ნაჩვენებია შსს-ს მიერ უფრო ადრე გავრცელებული ფარული ჩანაწერებიც.

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებასთან, კადრებთან და რესპონდენტების კომენტარებთან ერთად ხანდახან ჟურნალისტების ტექსტიც ქმნის უარყოფით ფონს:

- „კოალიციის ლიდერს ყველაზე ხშირად უხამსი სიტყვებით მოიხსენიებენ. თუმცა, სალანძღავ ფრაზებს არც სხვა თანაგუნდელების მიმართ იზოგავენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მინიშნება ის მიზანია, რომლის გამოც ზოგიერთი ლიდერი კოალიციაში გაწევრიანდა და ეს მიზანი პოლიტიკას და ქვეყნის მომავალს ნამდვილად არ უკავშირდება." (27 სექტემბერი, სიუჟეტი „კოალიციური სკანდალი")
- „ოჯახის წევრის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო ბიძინა ივანიშვილი სიძის, ირაკლი ღარიბაშვილისთვის პასუხის გაცემა ტელეკამერების წინ არ ისურვა დავით უსუფაშვილმა.[3] მისი მეუღლე თინა ხიდაშელი

[3] აღსანიშნავია სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ დაშვებული შეცდომა. ირაკლი ღარიბაშვილი თამაზ თამაზაშვილის სიძეა და არა ბიძინა ივანიშვილის.

ფარული ჩანაწერების ყველაზე არაკორექტული ნაწილის მთავარი ადრესატია, თუმცა მეუღლის ღირსების დაცვა დავით უსუფაშვილმა სამომავლოდ გადადო.“ (27 სექტემბრი, სიუჟეტი „შეფასებები კოალიციაში”)

- „სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს მის გუნდში გაუცემელი პენსიების და სეკვესტრირებული ბიუჯეტის სიმბოლოებად ქცეული ოთარ ხუფენია და დავით ონოფრიშვილი კურირებენ.” (28 სექტემბერი, სიუჟეტი „ფარული სკანდალის გაგრძელება”).

სხვადასხვა მხარისა და მოსაზრების წარმოჩენის თვალსაზრისით მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში იმატა ისეთი სიუჟეტების შემთხვევებმა, სადაც უმეტესად მხოლოდ ერთი მხარე ან წყაროა წარმოდგენილი. მაგალითად, სიუჟეტებში ციხეების შესახებ შეიმჩნევა პატიმრების კომენტარების ნაკლებობა (24 სექტემბერი, სიუჟეტი „ტუღუშის ანგარიში“). ასევე, დადებით სიუჟეტებში ხელისუფლების შესახებ შეინიშნება განსხვავებული მოსაზრებების ნაკლებობა და სიუჟეტებში კოალიცია ქართული ოცნების შესახებ გამოქვეყნებული აუდიო ჩანაწერების ხშირად შეინიშნება კოალიციის წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა.

აგვისტოს მეორე ნახევრიდან რუსთავი 2-მა საინფორმაციო გადაცემაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება, სადაც იწვევენ ერთ ან რამდენიმე პოლიტიკოსს. ზოგჯერ ისინი დებატების ხასიათს ატარებენ. 15-29 სექტემბრის პერიოდში რუსთავი 2-ზე მხოლოდ ერთი ასეთი პირდაპირი ჩართვა მოხდა და სტუმრად იმყოფებოდა ხათუნა კალმახელიძე (სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი).

ხათუნა კალმახელიძესთან პირდაპირი ჩართვა 18 სექტემბერს გაკეთდა. ჟურნალისტები მას უსვამდნენ როგორც ლმობიერ, ასევე მომთხოვნ კითხვებს. აღსანიშნავია, რომ ზაალ უდუმაშვილი უფრო მომთხოვნი იყო რესპოდენტისადმი, ვიდრე დიანა ჯოჯუა. მაგალითად, ზაალ უდუმაშვილმა კალმახელიძეს ჰკითხა: „ნიშნავს თუ არა ეს ვიდეომასალა, რომ სასჯელაღსრულების მუშაკთა ნაწილი წამსვლელია ასეთ ქმედებებზე, თუ მათ თანხას გადაუხდიან?“ ხათუნა კალმახელიძემ თავი აარიდა პასუხს. ამის შემდეგ, კი დიანა ჯოჯუა ამ

თემიდან გადადის უფრო ლმობიერ კითხვაზე: „რა ზომები მიიღება ვიდეომასალაში დაფიქსირებული პირების წინააღმდეგ?“

იმედი

იმედისა და რუსთავი 2-ის შემთხვევაში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვედრილი სუბიექტების თანმიმდევრობა ემთხვევა. თუმცა, პროცენტული მაჩვენებლები განსხვავდება. პირველ ადგილას მყოფ კოალიცია ქართულ ოცნებას, პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი წილი აქვს. დადებითი ტონით გაშუქების წილი, როგორც საერთო, ისე ჟურნალისტის შემთხვევაში, ჭარბობს პრეზიდენტის, მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების შემთხვევაში. კოალიცია ქართული ოცნება კი, უმეტესად უარყოფითი ტონით შუქდება. სიუჟეტებს ხშირად აქვს არანეიტრალური სათაურები. დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, მთავრობასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზეა, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებაზე. ამ პერიოდში უარყოფითი გაშუქება ეყრდნობოდა შსს-სა და პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ აუდიო ჩანაწერებს. 18 სექტემბერს და მომდევნო დღეებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ იმედზე მომზადდა სიუჟეტები, რომლებშიც აქცენტი უფრო მეტად შსს-ს მიერ გახსნილ დანაშაულებრივ სქემაზე იყო. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ რიგ სიუჟეტებში შეიმჩნევა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარებისა და ოფიციალური წყაროების კომენტარების ნაკლებობა. საინფორმაციო გამოშვების ჩართვებში, სადაც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ფიგურები და ექსპერტები, ჟურნალისტის მხრიდან შეინიშნებოდა გარკვეული ტენდენციურობა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჟურნალისტი ზოგ სტუმარს საუბარს აწყვეტინებდა, ზოგის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი ან განსაკუთრებით ლმობიერი იყო.

იმედზე მონიტორინგის პერიოდში სუბიექტებს ჯამში 9 საათი და 3 წუთი დაეთმო. პირველ ხუთეულში მოხვდრილი სუბიექტები იგივეა, რაც რუსთავი 2-ის შემთხვევაში. თუმცა, პროცენტული მაჩვენებლები განსხვავდება. ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართული ოცნებას დაეთმო - 32 პროცენტი. შემდეგ მოდიან პრეზიდენტი 25 პროცენტით, მთავრობა 19 პროცენტით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 9 პროცენტით და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება 7 პროცენტით. დანარჩენ 5 სუბიექტს მთელი დროის 2 ან ნაკლები პროცენტი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 3 და დიაგრამა Time 2)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ, დათმობილი დროის მიხედვით (თითქმის 3 საათი) პირველ ადგილას მყოფ კოალიცია ქართულ ოცნებას, სხვა სუბიექტებთან შედარებით, პირდაპირი საუბრის წილი ყველაზე დაბალი, 46 პროცენტი, აქვს. დანარჩენი სუბიექტებს, რომლებსაც 15-დან 29 სექტემბრის ჩათვლით არხზე 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი საუბრის მინიმუმ 51 პროცენტი აქვთ. პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძროაბას ეს მაჩვენებელი 70 პროცენტზე მაღალი აქვს. პრეზიდენტი - 75 პროცენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 72 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 3)

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, რამდენიმე სუბიექტთან მიმართებაში გამოვლინდა დადებითი გაშუქების საკმაოდ დიდი წილი. ესენია: პრეზიდენტი (73%), მთავრობა (33%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (62%) და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება (50%). უარყოფითი ტონის მხრივ, ყველაზე მაღალი პროცენტი დაფიქსირდა კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - 67 პროცენტი, დათმობილი 3 საათი და 14 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. ყველაზე მეტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა პრეზიდენტს (66% თითქმის 30 წუთიდან), მთავრობას (33% 36 წუთიდან), ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას (45% 13 წუთიდან) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 45% თითქმის 8 წუთიდან). უარყოფითი ტონის შესამჩნევად მაღალი მაჩვენებელი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (67%), რომელსაც ყველაზე მეტი დრო - თითქმის 1 საათი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Tone J3).

მონიტორინგის პერიოდში (15-29 სექტემბერი) იმედზე გასულ სიუჟეტებს ხშირად ჰქონდა არანეიტრალური სათაურები. უარყოფითი სათაურის მქონე სიუჟეტები უმეტესად ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, „ივანიშვილის 'აქცენტები' - რა უნდა ოცნების ლიდერს?" (17 სექტემბერი), „პუერტო-რიკო და ივანიშვილი: ვინ იყიდა რეალურად ივანიშვილის კომპანია" (18 სექტემბერი), „ოცნების თამაზაშვილი და დანაშაულებრივი გეგმა პატიმრებზე ძალადობის დაკვეთა" (18 სექტემბერი), „კანონიერი ქურდები და 'ოცნება': ვინ არის ვალერი ხაბურძანია" (26 სექტემბერი), „კანონიერი ქურდები და 'ოცნება': ივანიშვილი და 'ბეგოს' ძმა" (26 სექტემბერი), „ოცნება - სკანდალი კოალიციაში: ივანიშვილის 'გუნდი' - ვინ ვის აყენებს შეურაცხყოფას" (27 სექტემბერი).

მეორეს მხრივ, დადებითი სათაურის მქონე სიუჟეტების უმეტესობა პრეზიდენტს, პრემიერმინისტრსა და ქვეყნის აღმშენებლობის თემებს უკავშირდებოდა: „განახლებული თელავი: პრეზიდენტი რეაბილიტირებულ ქალაქში" (15 სექტემბერი), „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა: დასაქმების მინისტრის მოადგილე ახალციხეში" (15 სექტემბერი), „ახალი ქარხანა ყულევში: მშენებლობას საფუძველი პრეზიდენტმა ჩაუყარა" (18 სექტემბერი), „პრემიერი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში: სოფლების გაზიფიცირება, რთველი და ყურძნის ჩაბარება" (18 სექტემბერი), „ბინები სამხედრო მოსამსახურეებს: პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტი „სამხედრო ქალაქში" (20 სექტემბერი), „იუსტიციის სახლი თბილისში: სააკაშვილი - „იუსტიციის სახლი - გლდანის ციხის ანტითეზისი" (21 სექტემბერი), „სტატია ფრანგულ გამოცემაში: ძალადობა ციხეებში - სააკაშვილი ახერხებს სკანდალის დაშოშმინებას" (21 სექტემბერი), „პრეზიდენტი გორში: იუსტიციის სახლი, განახლებული წერეთლის ქუჩა და სტადიონი" (26 სექტემბერი), „პრეზიდენტი კახეთში: სააკაშვილი სიღნაღის რაიონში რთველის მიმდინარეობას დაესწრო" (27 სექტემბერი), „ქართული ღვინო: გაზრდილი ექსპორტი" (27 სექტემბერი).

სიუჟეტში ერთი რომელიმე სუბიექტის გაშუქების სიჭარბის მხრივ, მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა რიგი სიუჟეტებისა, სადაც მთლიანი დროის უმეტესი ნაწილი ერთი სუბიექტის პირდაპირ საუბარს ან ჩვენებას ეთმობა. მაგალითად, 22 სექტემბრის სიუჟეტში „ტექნოლოგიური უნივერსიტეტი: პრეზიდენტი სასწავლო დაწესებულების გახსნაზე" 9:54 წუთიდან 8:40 წუთი პრეზიდენტის საუბარს დაეთმო. 24 სექტემბრის სიუჟეტში

„პრეზიდენტი გურჯაანში: შეხვედრა მოსახლეობასთან“ 9:24 წუთიდან 6:14 წუთი პრეზიდენტმა ისაუბრა.

რაც შეეხება საერთო შთაბეჭდილებას, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, მთავრობასა და ნაციონალურ მოძრაობაზეა. უარყოფითი სიუჟეტები კი უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებასა და ბიძინა ივანიშვილზე.

15 სექტემბრის სიუჟეტში „განახლებული თელავი: პრეზიდენტი რეაბილიტირებულ ქალაქში“[4] მიხეილ სააკაშვილმა რეაბილიტირებული თელავი დაათვალიერა და მოსახლეობას შეხვდა. მან გასინჯა ადგილობრივის ღვინო, თქვა სადღეგრძელო და გადაიღო მოქალაქეებთან სურათები. მიხეილ სააკაშვილმა გახსნა იუსტიციის სახლი თელავში, მოინახულა განახლებული ნადიკვარის პარკი და აღნიშნა, რომ გაოგნებულია რამდენად სწრაფად მოხდა სტიქიის შემდეგ თელავის აღდგენა, რადგან ამას ძალიან დიდი ქვეყანაც კი ვერ შეძლებდა. დადებით შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა ადგილობრივების კომენტარები პრეზიდენტისადმი „მიყვარხარ მიშა“, „გენაცვალე მიშა“ და სხვა.

22 სექტემბრის სიუჟეტი „ტექნოლოგიური უნივერსიტეტი: სასწავლო დაწესებულების გახსნაზე“ ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტსა და მთავრობაზე. პრეზიდენტი მიმართავს შეკრებილ სტუდენტებს ექვს-ნახევარი წუთის განმავლობაში და ისინიც ტაშს უკრავენ. იგი პროფესორებსაც ხვდება, ინტერესდება სტუდენტების მიერ შექმნილი რობოტით და აქებს მათ.

ასევე ძალიან დადებითია პრეზიდენტის მიმართ 28 სექტემბრის სიუჟეტი „პრეზიდენტი კახეთში: სააკაშვილი სიღნაღის რაიონში რთველის მიმდინარეობას დაესწრო“. ჟურნალისტი ყვება, როგორ დაეშვა პრეზიდენტის ვერტმფრენი მოულოდნელად ვენახში. შემდეგ ნაჩვენებია პრეზიდენტის საუბარი ხალხთან, სადაც ის მათ უხსნის, რომ ვერტმფრენიდან დაინახა და გადაწყვითა, მოენახულებინა ისინი. მოხუცებული ქალბატონი ეხუტება და კოცნის პრეზიდენტს, ყველა გახარებულია მისი ნახვით. სააკაშვილიც ყველას ესაუბრება და ბოლოს ხალხი აცილებს პრეზიდენტის ვერტმფრენს.

[4] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=NVR27y3zERw&feature=youtu.be

18 სექტემბერს და მომდევნო დღეებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ იმედზე მომზადდა სიუჟეტები, რომლებშიც აქცენტი უმეტესად შსს-ს მიერ გახსნილ დანაშაულებრივ სქემაზე იყო. ეს სქემა გულისხმობს ძალადობის დაკვეთას და მის გადაღებას პატიმარ თამაზ თამაზაშვილის მიერ, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია კოალიცია ქართულ ოცნებასთან. ამ თემას 18 სექტემბერს ორი სიუჟეტი მიეძღვნა („ოცნების თამაზაშვილი და დანაშაულებრივი გეგმა: პატიმრებზე ძალადოების დაკვეთა“[5]). 18 სექტემბრის და მომდევნო დღეების გამოშვებებში იმედმა გააშუქა საპროტესტო აქციები თბილისსა და რეგიონებში და პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, პარლამენტის თავჯდომარისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების განცხადებები წამების ფაქტებთან დაკავშირებით. თუმცა, აქცენტი უფრო მეტად მდგომარეობის გამოსწორებაზე იყო და ვიდეოების კავშირზე კოალიცია ქართულ ოცნებასთან და არა თვითონ წამების ფაქტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრების წამების ვიდეოების გავრცელების ფაქტთან დაკავშირებით რიგ სიუჟეტებში ხელისუფლების წარმომადგენლები შედარებით უარყოფითად წარმოჩინდა, უმეტესად, რესპონდენტების საუბრის ხარჯზე („ივანიშვილის განცხადება: პატიმართა ძალადობის ფაქტები - ბრალდება ხელისუფლებას“, 19 სექტემბერი; „ჩახვაძე ძალადობის ფაქტებზე პასუხისმგებლობას სააკაშვილს და ივანიშვილს აკისრებს“, 19 სექტემბერი), პარალელურად გადიოდა სიუჟეტები პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, მთავრობისა და მმართველი პარტიის წევრების ვიზიტებისა და ღონისძიებების შესახებ, საიდანაც ამ სუბიექტებზე დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა („ტურისტული კომპლექსი შაორზე: მშენებლობას საფუძველი პრეზიდენტმა ჩაუყარა“, 18 სექტემბერი). არჩევნების დღესთან მიახლოებასთან ერთად, დადებითი სიუჟეტების რაოდენობამ ამ სუბიექტების მიმართ საგრძნობლად იმატა.

ქრონიკაში მონიტორინგის მოცემულ პერიოდში (15-29 სექტემბერი) გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას, მის წევრებსა და ბიძინა ივანიშვილს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სიუჟეტების უმრავლესობა ხაზს უსვამს კოალიცია ქართული ოცნების ლიდერის კავშირებს რუსეთთან და ქურდულ სამყაროსთან. ქართული

[5] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=ZhDxrLkOdfs&feature=youtu.be

ოცნებისა და კანონიერი ქურდების კავშირის თემას სიუჟეტები მთელი სერია მიეძღვნა (25 სექტემბერს ექვსი სიუჟეტი, 26 სექტემბერს ოთხი სიუჟეტი). ასევე ბევრი სიუჟეტი მომზადდა შსს-ს მიერ გავრცელებულ აუდიო მასალებზე (სატელეფონო საუბრები), სადაც კოალიცია ქართული ოცნების წევრები უარყოფითად მოიხსენიებენ კოალიციის ლიდერსა და სხვა წევრებს.

უარყოფით სიუჟეტთაგან ერთ-ერთი ყველაზე მძაფრია 17 სექტემბრის სიუჟეტი „ივანიშვილის 'აქცენტები' - რა უნდა ოცნების ლიდერს?", რომელიც 25 წუთს გრძელდება და ეფუძნება ეკა კვესიტაძის თოქ-შოუ „აქცენტების" ერთ-ერთ გამოშვებას, სადაც სტუმრად იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილი. სიუჟეტი აგებულია კოალიციის ლიდერის ინტერვიუს რამდენიმე ასპექტზე და იწყება ჟურნალისტის საუბრით ბიძინა ივანიშვილზე და მის დამოკიდებულებაზე ვლადიმერ პუტინის მიმართ, პარალელურად კი ფონად გადის 2008 წლის ომის კადრები. გადაცემის წამყვანი ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილი დიდ დროს უთმობს რუსეთსა და პუტინზე საუბარს. ასევე ივანიშვილის მიერ გადაცემაში დაფიქსირებულ აზრს თან სდევს არქივიდან ამოღებულ კადრებს, რაც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. სიუჟეტში ასევე ხაზგასმულია, რომ კოალიციის ლიდერს ურჩევნია შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმი. ამ არგუმენტს მოჰყვება იმედის მიერ ჩატარებული ქუჩის გამოკითხვა იმაზე, თუ რომელ რეჟიმს ანიჭებენ მოქალაქეები უპირატესობას - აბაშიძე/შევარდნაძის თუ ამჟამინდელი. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ორი სიუჟეტიც იგივე თემას ეხება: „ივანიშვილის „აქცენტები": პოლიტიკური შეფასება" და „ივანიშვილის „აქცენტები": Facebook კომენტარები". ამ სიუჟეტებს კი მოსდევს თოქ-შოუ, რომელიც კვლავაც ამ თემას განიხილავს - „ივანიშვილის „აქცენტები": დისკუსია „ქრონიკის" ეთერში".[6]

25 სექტემბრის სიუჟეტი „ხაინდრავა და 'კანონიერი ქურდები': რა აკავშირებს ხაინდრავას 'ოცნებასთან'?" უარყოფითად წარმოაჩენს გოგა ხაინდრავას და შემდეგ, არც თუ ისე საფუძვლიანად, ხაინდრავა ქართულ ოცნებასთან არის დაკავშირებული.

26 და 28 სექტემბრის გამოშვებებში რამდენიმე სიუჟეტი გავიდა, სადაც საუბარია ქართული ოცნებისა და კანონიერი ქურდების კავშირებზე, ასევე შსს-ს მიერ გავრცელებულ აუდიო ჩანაწერებზე, სადაც კოალიცია ქართული ოცნების წევრები საუბრობენ კოალიციის შიგნით

[6] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=N2aVRC4Loc4

მიმდინარე პროცესებზე, კონკურენციაზე და ერთმანეთს საკმაოდ აუგად იხსენიებენ. მაგალითად, 28 სექტემბრის სიუჟეტში „ბიძინა ივანიშვილის ჩანაწერები: ხუხაშვილი და ღარიბაშვილი მე-9 არხის კონტროლზე“ ნეგატიურ შთაბეჭდილებას ტოვებს კოალიცია ქართულ ოცნებაზე, რადგან ჟურნალისტი ვრცლად აღწერს, როგორ საუბრობენ ხუხაშვილი და ღარიბაშვილი მეცხრე არხის კონტროლზე. თავად ჩანაწერიც, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი იგინება, აძლიერებს ნეგატიურ შთაბეჭდილებას. ამ თემაზე რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა და ღარიბაშვილი-ხუხაშვილის საუბრის აუდიო ჩანაწერი ორჯერ გაიმეორეს. ერთხელ მთლიანად გაუშვეს ეთერში, მეორედ კი - ნაწილებად დაშალეს და ცალ-ცალკე განიხილეს.

28 სექტემბრის სიუჟეტში „კალაძე და ‘კანონიერი ქურდები’: დადასტურებული მილანური შეხვედრა“, ჟურნალისტის თქმით, კუსიანისა და ბრეგაძის აუდიო ჩანაწერი ადასტურებს, რომ კახი კალაძე მილანში კანონიერ ქურდებს შეხვდა. მოცემულ აუდიო ჩანაწერში კუსიანი და ბრეგაძე საუბრობენ რუსთავი 2-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტზე ამ შეხვედრასთან დაკავშირებით. სიუჟეტიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ამტყუნებენ შეხვედრის მონაწილეებს. თუმცა, რადგანაც მათ საუბარში არავის სახელი არ ფიგურირებს და გადაჭრით იმის თქმა, რომ კალაძის მილანური შეხვედრა დადასტურდა, გადაჭარბებულია.

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტები, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში ხშირად იყო არანეიტრალური. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

- „დღეს ისევე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კოალიციის ლიდერთა განცხადებები ერთმანეთს არ ემთხვევა.“ (24 სექტემბერი, სიუჟეტი „პოლიციელების მოსყიდვის ფაქტები: შსს ვიდეო მასალა, განცხადებები ოპოზიციურ პარტიებში“)
- „კანონიერი ქურდები გეგმებს ქვეყნის გარეთ აწყობენ. პარალელურად კი კოალიცია ქართული ოცნება ბოლო რამდენიმე დღეა სამართალდამცავებთან დაპირისპირებით და მათი შეურაცხყოფით არის დაკავებული.“ (26 სექტემბერი, სიუჟეტი „‘ქურდული რევანშის’ მცდელობა: რა გზით გეგმავდნენ ‘კანონიერი ქურდები’ საქართველოში დაბრუნებას“)

- „ფაბრიკაცია - ალბათ, ეს არის ის სიტყვა, რომელსაც ივანიშვილის კოალიციის წევრები დღეს ყველაზე ხშირად ხმარობდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ოცნების ლიდერები ფაბრიკაციაზე საუბრობდნენ, ისინი საკმაოდ აღელვებულები ჩანდნენ, ვინაიდან, როგორც საზოგადოებისთვის, ისე, სავარაუდოდ, მათთვისაც ნათელია, რომ მსგავსი სახის ფაბრიკაციის მონტაჟი უბრალოდ შეუძლებელია და საქმე მართლა სერიოზულ განხეთქილებასთან გვაქვს ოცნების რიგებში.“ (28 სექტემბერი, სიუჟეტი „ბიძინა ივანიშვილის ჩანაწერები: ‘ოცნება’ აუდიო მასალას ფაბრიკაციას უწოდებს)

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდში გვხვდება ისეთი სიუჟეტები, სადაც წყაროები ერთ მხარეს წარმოადგენენ და ერთსა და იმავე პოზიციას გამოხატავენ. ამ სიუჟეტებიდან ძირითადად დადებითი შთაბეჭდილება რჩება პრეზიდენტზე, მთავრობასა და ნაციონალურ მოძრაობაზე (მაგალითად, 22 სექტემბრის ორი სიუჟეტი ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნაზე, 22 სექტემბრის სიუჟეტი „პრემიერი სოფლის პროგრამა: შეხვედრა ფერმერებთან და საჩითილე მეურნეობის დათვალიერება“; . ასევე გვხვდება სიუჟეტები, სადაც იგრძნობა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების ან ოფიციალური პირების კომენტარების ან დოკუმენტაციის წარმოდგენის საჭიროება. ასეთებია, მაგალითად, 24 სექტემბრის სიუჟეტი „ოცნება: პოლიციელების მოსყიდვის ფაქტები. გამოვლენილი დანაშაული. 3 დაკავებული“, სადაც არ იყო არც სამართალდამცავების კომენტარი და არც კოალიციის წარმომადგენლების კომენტარი; 24 სექტემბრის სიუჟეტი „ხმაური სოფელ გოგნიაურში: დაპირისპირება ოცნების მაჟორიტარსა და სოფლის გამგებელს შორის“, სადაც არ იყო წარმოდგენილი ოფიციალური სტრუქტურების კომენტარები. საერთოდ, სიუჟეტიდან რთულია დალაგებული ინფორმაციის გამოტანა. ჟურნალისტის თქმით, ოცნების კანდიდატებსა და სოფლის გამგებელს შორის დაპირისპირება მოხდა. თუმცა, სიუჟეტის უმეტესი ნაწილი ეთმობოდა კადრებს, სადაც ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატები ჟურნალისტს მკაცრად ესაუბრებოდნენ, შემდეგ კი ხალხი ერთმანეთს ლანძღავდა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. არსად ჩანს გამგებელი. ასევე, 27 სექტემბრის სიუჟეტში „ივანიშვილი - ‘ანგოლაგეიტი’: ახალი სკანდალი ‘ოცნების’ ლიდერზე“ არ არის წარმოდგენილი თვითონ

ივანიშვილის კომენტარი. 28 სექტემბრის სიუჟეტში „ბიძინა ივანიშვილის ჩანაწერები: ხუხაშვილი და ღარიბაშვილი მე-9 არხის კონტროლზე“ არ არის წარმოდგენილი კოალიციის წევრების კომენტარი გავრცელებულ აუდიო ჩანაწერზე.

აგვისტოს მეორე ნახევარში დაწყებული პირდაპირი ჩართვები საინფორმაციო გამოშვებაში, სადაც ერთი ან რამდენიმე სტუმარი იყო სტუდიაში მოწვეული, სექტემბრის 21 სექტემბრის შემდეგ საინფორმაციოებში აღარ გასულა. 15-დან 29 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში იმედზე გასულ საინფორმაციო გამოშვებების გადაცემებში სულ 2 ასეთი ჩართვა მოხდა და მათ 25 და 10 წუთი დაეთმო. აღნიშნულ ჩართვებში შემდეგი სტუმრები იყვნენ წარმოდგენილი: 17 სექტემბრის გადაცემაში - ია ანთაძე (მედია ექსოერტი), დავით პაიჭაძე (ჟურნალისტი), ვასილ ჭყოიძე (ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი), ლევან ჩოლოყაშვილი (ექსპერტი); 21 სექტემბრის გადაცემაში კი გიორგი ტუღუში (სასჯელაღრსულების მინისტრი).

ჩართვების დროს ჟურნალისტი ძირითადად აცდიდა სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ ჩაკითხვის მიზნით აწყვეტინებდა საუბარს ან იმ შემთხვევაში, თუ რესპოდენტი სასაუბრო თემას სცდებოდა. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ჟურნალისტი აწყვეტინებდა ზოგ სტუმარს საუბარს, ზოგის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი იყო, ან განსაკუთრებით ლმობიერი.

17 სექტემბერს ჩართვის ერთ-ერთი სტუმარი იყო ია ანთაძე და წამყვანი მას აწყვეტინებდა საუბარს. მაგალითად, როცა ია ანთაძე საუბრობს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილმა ზუსტად არ იცოდა მედია მონიტორინგის შედეგები, ჟურნალისტი აწყვეტინებს მას და ეუბნება, რომ „ალბათ, ეს ინფორმაცია უნდა ჰქონოდა ბიძინა ივანიშვილს, მინიმუმ პრესსამსახურიდან...“. წამყვანის მიერ დასმულ კითხვებში იგრძნობოდა ჟურნალისტის დამოკიდებულება საკითხთან მიმართებაში. მაგალითად, პირველივე შეკითხვა, რომელიც ია ანთაძეს ჟურნალისტმა დაუსვა ასეთია: „როგორ შეაფასებდით ივანიშვილის გუშინდელ ინტერვიუს, რომელშიც ოცნების ლიდერმა ნაკლებად ისაუბრა არჩევნებამდე 2 კვირით ადრე პარტიის საარჩევნო პრიორიტეტებზე, მაგალითად, ეკონომიკურ და სხვა სოციალურ საკითხებზე და

ძირითადად, გლობალური პოლიტიკის საკითხებს და ხელისუფლების კრიტიკას დაუთმო ეს დრო?“

მაესტრო

15-29 სექტემბრის პერიოდში მაესტროზე მონიტორინგის სუბიექტებს სულ 4 საათი დაეთმო. გამოკვეთილად მეტი დრო დაეთმო პირველ ოთხეულში მოხვედრილ სუბიექტებს: მთავრობას, კოალიცია ქართული ოცნებას, პრეზიდენტსა და ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას. ამ სუბიექტებს შორის პირდაპირი და ირიბი საუბრის წილის განაწილება სხვადასხვანაირია. ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრი წილი მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა, ყველაზე მაღალი კი, პრეზიდენტის შემთხვევაში. კოალიცია ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირდაპირი და ირიბის საუბრის წილი თითქმის თანაბრად აქვთ გადანაწილებული. აღნიშნული 4 სუბიექტი მონიტორინგის პეიროდში გაშუქდა როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. თუმცა, ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში სამი სუბიექტის მიმართ ჭარბობს უარყოფითი ტონი. ესენია: მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი. მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები აქვს. თუმცა, შეინიშნება კრიტიკული და უარყოფითი შინაარსის მქონე სათაურები ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სუბიექტებზე. ისევე, როგორც თვითონ სიუჟეტების შინაარსი. 18 სექტემბერს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ასეთი სიუჟეტები. ქართული ოცნებისა და კანონიერი ქურდების კავშირის თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში ჟურნალისტების მიერ შექმნილი იყო ისეთი კონტექსტი, რაც გავრცელებული აუდიო ჩანაწერების სანდოობას აყენებდა ეჭვქვეშ. ასეთივე კუთხით გაშუქდა კოალიციის წევრების მონაწილეობით გავრცელებული აუდიო ჩანაწერები. მაესტროზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, გვხვდება სიუჟეტები, სადაც იგრძნობა გაკრიტიკებული მხარის, ძირითადად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების, მთავრობის წარმომადგენლების ან სამართალდამცავების, კომენტარების საჭიროება.

მაესტროზე სუბიექტებს სულ 4 საათი და 4 წუთი დაეთმო. ეს დრო, ძირითადად, 4 სუბიექტის გაშუქებას დაეთმო. პირველ სამეულში მოხვედრილ სუბიექტებს შორის პროცენტული მაჩვენებლები საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა: მთავრობა - 27 პროცენტი, კოალიცია ქართული ოცნება - 25 პროცენტი და პრეზიდენტი - 22 პროცენტი. მეოთხე ადგილას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოხვდა 12 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი 3 ან ნაკლები პროცენტი ერგოთ. (იხ. დიაგრამა Time 4)

იმ ოთხ სუბიექტს შორის, რომლებსაც მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე 29 წუთი ან მეტი დრო დაეთმოთ (დანარჩენებს მხოლოდ 7 წუთზე ნაკლები დაეთმოთ) პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება სხვადასხვანაირია. ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრი წილი მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა - 19 პროცენტი, ყველაზე მაღალი კი, პრეზიდენტის შემთხვევაში - 70 პროცენტი. კოალიცია ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირდაპირი და ირიბის საუბრის წილი თითქმის თანაბრად აქვთ გადანაწილებული. კოალიცია ქართული ოცნება - 56 პროცენტი პირდაპირი და 44 პროცენტი ირიბი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 45 პროცენტი პირდაპირი და 55 პროცენტი ირიბი საუბრის წილი. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ იმ ძირითადი ოთხი სუბიექტის შემთხვევაში, რომელთაც ნახევარ საათზე მეტი დრო დაეთმოთ (დანარჩენებს მხოლოდ 7 წუთი ან ნაკლები აქვთ) გამოვლენილია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტონით გაშუქება. აქედან ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონის წილი მთავრობას (38 პროცენტი) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (34 პროცენტი) აქვთ. რაც შეეხება დადებითი ტონით გაშუქებას, პრეზოდენტს ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი, 36 პროცენტი, დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აქ სამი სუბიექტის მიმართ ჭარბობს უარყოფითი ტონი. ესენია: მთავრობა (39%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (38%) და პრეზიდენტი (24%). ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტის დადებითი ტონით გაშუქების ყველაზე დიდი წილი მხოლოდ ერთი სუბიექტის შემთხვევაში დამოვლინდა: კოალიცია ქართული ოცნება - 16 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J4)

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. თუმცა, შეინიშნება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შინაარსის მქონე სათაურები, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სუბიექტებზე. მაგალითები: „ჩამორთმეული ქონება: ბიზნესმენის დეველოპერული ბიზნესი საბოლოოდ სახელმწიფოს ბალანსზე გადავიდა“ (17 სექტემბერი), „თავისუფალი ინდუსტრიული ზონები: პრეზიდენტი ფოთის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ საუბრობს, ეკონომისტები კი მას შეუსრულებელ დაპირებებს ახსენებენ“ (18 სექტემბერი), „ნაცემი ‘ოცნებელები’: გორში, კასპში და წყალტუბოში აქტივისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ“ (24 სექტემბერი), „ნაციონალური მოძრაობა და კრიმინალები: რა კავშირი აქვს ნაციონალურ მოძრაობას კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ (26 სექტემბერი), „დაბრუნება ძალოვან სტრუქტურაში: ბუტა რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ბაშალეიშვილი შს სამინისტროს სამაშველო სამსახურში მუშაობს“ (29 სექტემბერი).

მაესტროზე 15-29 სექტემბრის პერიოდში გასული სიუჟეტების დიდი ნაწილი მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ უარყოფით და კრიტიკულ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს. ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით. 18 სექტემბერს გამოქვეყნებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ასეთი უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები. მაგალითად, 22 სექტემბრის გამოშვებაში პირველი შვიდი სიუჟეტი ძალიან უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებდა მთავრობის ცალკეულ წევრებზე, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ კანდიდატებზე და პრეზიდენტზე. უარყოფითი სიუჟეტები მომდევნო დღეებშიც უხვად იყო წარმოდგენილი.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე პრეზიდენტის დადებითად წარმომჩენი სიუჟეტებიც გავიდა. გაშუქდა ნაციონალური მოძრაობის შეკრება, პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს ასამბლეაში და ლაზიკას მშენებლობის დაწყება.

მაესტროზე 18 სექტემბერს და მომდევნო დღეებში გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა აქტიურად გაშუქდა. 18 სექტემბრის გამოშვება დაიწყო მაესტროს ექსკლუზივით, სადაც ნაჩვენები იყო ციხის თანამშრომლების მხრიდან პატიმრების ცემის

ამსახველი ვიდეო მასალა. 19 სექტემბრის სიუჟეტში - „პატიმრების წამების ამსახველ ვიდეოს მეცხრე არხი ავრცელებს“ კი, ნაჩვენებია არასრულწლოვანი პატიმრის წამების კადრები.

მომდევნო დღეების სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი სწორედ ამ თემას ეხებოდა და მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი იქნა განხილული. ცალკე სიუჟეტებად იყო ნაჩვენები აღნიშნული ვიდეო ჩანაწერები. გაშუქდა საპროტესტო აქციები და მათი მიმდინარეობა, მინისტრების გადადგომა და ახალი მინისტრების დანიშვნა, საერთაშორისო რეზონანსი და სხვა. ასევე, ნაჩვენები და მოთხრობილი იყო სხვა პატიმრების წამების, ცემის და გარდაცვალების ისტორიები, რომლებსაც ამ პატიმრების ახლობლები და ადვოკატები ყვებიან. სიუჟეტების უმეტესობა კრიტიკული და უარყოფითი შინაარსის შემცველი იყო არსებული მთავრობისა და ხელისუფლების მიმართ.

19 სექტემბრის სიუჟეტი, „შემზარავი კადრები და არსებული სტატისტიკა: ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებულმა სტატისტიკამ და კადრებმა ყველა შეძრა“, უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტსა და ხელისუფლებაზე. რესპონდენტი მურმან დუმბაძე, ყვება თუ როგორ მოექცნენ მას 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ. ნაჩვენებია ფოტო მასალა, რომელზეც სხვა პატიმრების სხეულზე აღბეჭდილი წამების კვალი ჩანს. ციხეში გაუსაძლის პირობებზე საუბრობენ გარდაცვლილი პატიმრების ახლობლები და ნათესავები. სიუჟეტის ბოლოს მოყვანილია სააკაშვილის ძველი განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ პრეზიდენტი, რომელიც შესაბამის ზომებს არ იღებს, როდესაც რიგითი პოლიციელი რაიმე უკანონობას სჩადის, და ეს მთელი ქვეყნისთვისაა ცნობილი, მაშინ ის „ნაძირალაა.“[7]

აღსანიშნავია, რომ მაესტრომ გააშუქა რამდენიმე ისეთი თემა, რომელიც პირველ არხს, რუსთავი 2-სა და იმედს არ გაუშუქებია. მაგალითად, 19 სექტემბრის სიუჟეტი „დათა ახალაია პატრიარქთან: თავდაცვის მინისტრის მოადგილე პატრიარქს შეხვდა“, და „ახალი დეტალები: ვლადიმერ ბედუკაძე ვიდეომასალის შემკვეთად ბაჩო ახალაიას ასახელებს“; 20 სექტემბრის სიუჟეტი „სად არის ბაჩო ახალაია? შსს-ს მინისტრის ადგილსამყოფელი უცნობია“. ასევე

[7] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=5uECydi50m8&feature=youtu.be

გაშუქდა რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც განვითარებული მოვლენების შემდეგ, მმართველი გუნდის წევრები კოალიცია ქართულ ოცნებას შეუერთდენენ.

20 სექტემბრის სიუჟეტში „საჯარო მოხელეთა პროტესტი: ციხეებში პატიმართა წამების გამო პროტესტის ნიშნად თანამდებობა რამდენიმე ადამიანმა დატოვა“ ნაჩვენებია კადრები, თუ როგორ იხდის როლანდ ახალაიას შტაბის წევრი ნაციონალური პარტიის მაისურს და კოალიცია ქართული ოცნების სიმბოლოიან მაისურს იცმევს. აქვე აღნიშნავენ, რომ მასთან ერთად ასე რამდენიმე სხვა წევრიც მოიქცა. არის თვითონ რამაზ შენგელიას ინტერვიუც, სადაც ის ამბობს, რომ გამოქვეყნებული კადრების შემდეგ მას აღარ სურს ამ პარტიაში დარჩენა. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორს უნდა ესაუბრა იმაზე, თუ როგორ ახდენენ მმართველი გუნდის წევრები ამომრჩევლებზე ზეწოლას, თუმცა თავად გახდა ზეწოლის მსხვერპლი და ვეღარ ისაუბრა აღნიშნულ თემაზე.[8]

22 სექტემბრის სიუჟეტში „საპროტესტო აქცია ტელევიზიასთან: საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეკრებილი აქციის მონაწილეები განცხადებისთვის პირდაპირ ეთერს ითხოვენ“ სხვადასხვა წყაროები უარყოფითად საუბრობენ როგორც ზურაბ ადეიშვილზე, ასევე გიგი უგულავაზე. ერთ-ერთი წყაროს განცხადებით, უგულავამ ახალგაზრდებთან შეთანხმებას მიაღწია, რომ ისინი მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ ჩაიცვამდნენ ქართული ოცნებისა და სხვა ოპოზიციური პარტიების მაისურებს და დაიწყებდნენ პროვოკაციების მოწყობას. მეორე წყარო საუბრობს ზურაბ ადეიშვილზე, როგორც მკვლელების, თაღლითებისა და მწვალებლების ხელის დამფარებელზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მასალების მიხედვით, კოალიციის კანონიერ ქურდებთან კავშირთან დაკავშირებით მომზადებულ სიუჟეტებში აქცენტი ამ მასალების სანდოობაზე იყო. მაესტროზე გავიდა სიუჟეტი „ამოცნობილები“, სადაც შსს-ს მასალებში წარმოდგენილი ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც კანონიერ კურდებთან კავშირში იყო მოხსენებული, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორად ამოიცნეს. ასევე, 26 სექტემბრის სიუჟეტში „შსს-ს ახალი კომპრომატები: შინაგან საქმეთა სამინისტრო ქართულ ოცნებას კრიმინალურ ავტორიტეტებთან კავშირში ადანაშაულებს“ ნაჩვენებია შსს-ს მიერ

[8] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=FrAuObyWjiU&feature=youtu.be

გავრცელებული კადრები, სადაც კოალიციის წევრები ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს ესაუბრებიან. თუმცა, მანამდე ჟურნალისტი ქმნის ისეთ კონტექტს (მაგ.: „შსს-ს თვალით დანახული ე.წ. კანონიერი ქურდების ოცნება და კომპრომატების ომის მესამე სერია“), რომ ჩნდება ეჭვი შსს-ს მიერ გამოქვეყნებული მასალების სანდოობაში. ჟურნალისტი შესავალშივე უსვამს ხაზს, რომ ჩანაწერების ორი მთავარი მონაწილე, სანიკიძე და კალაძე, ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ჟურნალისტი შესავალში არ ასახელებს კონკრეტულ ოპოზიციურ პარტიას, რომელთან კავშირზეც მიუთითებს გამოქვეყნებული ჩანაწერები. სიუჟეტში ივანიშვილის კომენტარიცაა წარმოდგენილი, რომელიც ჩანაწერების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. ამავე სიუჟეტში გუბაზ სანიკიძის საუბრის შედეგად პრეზიდენტის მიმართ შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება. ამავე გამოშვების მომდევნო სიუჟეტშიც გაკრიტიკებული იყო შსს-ს გამოქვეყნებული მასალები და იურისტები მათ „არასამართლებრივს“ უწოდებდნენ.[9]

საერთო შთაბეჭდილება ზოგჯერ ჟურნალისტების ტექსტებითაც მძაფრდება. მაგალითად, 26 სექტემბრის სიუჟეტში „ნაციონალური მოძრაობა და კრიმინალები: რა კავშირი აქვს ნაციონალურ მოძრაობას კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ჟურნალისტი ამბობს: „ნაციონალური მოძრაობა არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ოპონენტების ქურდულ სამყაროსთან კავშირით ინტერესდება. მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები კი კრიმინალური ავტორიტეტების საარჩევნო კამპანიაში ჩაბმაზე უარს არ ამბობენ.“

მაესტროზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. გვხვდება სიუჟეტები, სადაც იგრძნობა გაკრიტიკებული მხარის, ძირითადად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების, მთავრობის წარმომადგენლების ან სამართალდამცავების, კომენტარების საჭიროება. თუმცა, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში, 28 სექტემბრის სიუჟეტში „ინტერვიუ ნებაყოფლობითი რეზერვის წევრთან: რესპონდენტის განცხადებით, თავდაცვის სამინისტრო არჩევნებზე პროვოკაციებისთვის შეიარაღებულ ჯგუფებს ამზადებს“ აღნიშნულია, რომ სამინისტროს პრესსამსახური მთელი დღის განმავლობაში მაესტროს ზარებს არ პასუხობდა.

[9] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=OtGmSE6s3HI&feature=youtu.be

მაესტროზე კადრებით მანიპულირების შემთხვევები ხშირი არ არის. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როცა ჟურნალისტის ტექსტის პარალელურად ნაჩვენები კადრები არა უბრალოდ კრიტიკაზე მიანიშნებდა, არამედ საერთო შთაბეჭდილების დამძიმებას ისახავდა მიზნად. სიუჟეტში პენიტენციალური სისტემის რეფორმირებისა და მასზე დახარჯული თანხის შესახებ (25 სექტემბერი, სიუჟეტი „220 მილიონად რეფორმირებული სისტემა“) გავიდა მანამდე გამოქვეყნებული კადრები პატიმრების წამების სერიიდან, სადაც ბადრაგები სცემენ პატიმარს ჟურნალისტის ტექსტის პარალელურად, სადაც ის ამბობს, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმის ერთ-ერთი პუნქტი იყო სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის მაღალი ხელფასების დანიშვნა და „ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის და ჰიგიენური პირობების გარდა, პენიტენციალური სისტემის რეფორმა თანამშრომლებისთვის მაღალი სახელფასო განაკვეთის დადგენასაც ითვალისწინებდა. ამისთვის, 2006-2008 წლებში 94 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა. კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად კი წელს მილიონამდე ლარი გამოიყო“.[10]

კავკასია

კავკასიაზე სუბიექტებს, სხვა არხებთან შედარებით ყველაზე ნაკლები დრო, 3 საათი და 50 წუთი დაეთმო. ეს დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა სუბიექტებს შორის. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. რომლებსაც კავკასიაზე 5 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. სუბიექტები როგორც დადებითად ისე უარყოფიტად არიან გაშუქებული, როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი სიუჟეტები მთავრობაზე, პრეზიდენტსა და ხელისუფლებაზე უფრო გახშირდა 18 სექტემბერს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელების შემდეგ. თუმცა, არის ისეთი სიუჟეტებიც სადაც კოალიცია ქართული ოცნება უარყოფით კონტექსტში არის წარმოჩენილი. ორივე

[10] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=Q1eBIxpfnmU&feature=youtu.be

შემთხვევაში მიზეზი, ძირითადად, ამ პერიოდში გამოქვეყნებული ფარული აუდიო და ვიდეო მასალაა.

15-დან 29 სექტემბრის ჩათვლით კავკასიაზე სუბეიქტებს ჯამში, სხვა არხებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები დრო 3 საათი და 50 წუთი დაეთმო. დათმობილი დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა მონიტორინგის სუბიექტებს შორის. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 34 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილას მოხვდნენ მთავრობა და პრეზიდენტი მსგავსი პროცენტული მაჩვენებლებით: მთავრობა - 20 პროცენტი, პრეზიდენტი - 16 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს 7 პროცენტი და ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 5)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ იმ სუბიექტებს, რომლებსაც კავკასიაზე 5 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი, 21 პროცენტი, მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა. ყველაზე დიდი კი - პარტია კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს შემთხვევაში (82%). კოალიცია ქართული ონებას და პრეზოდენტს პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრად აქვთ განაწილებული: კოალიცია ქართული ოცნება - 55% პირდაპირი და 45% ირიბი, პრეზიდენტი - 57% პირდაპირი და 43% ირიბი საუბრის წილი. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კავკასიაზე სუბიექტები, რომლებსაც 9 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, როგორც დადებითად, ასევე უარყოფითადაა გაშუქებული. ყველაზე მეტი დადებითი ტონი პრეზიდენტის გაშუქებისას დაფიქსირდა - 40 პროცენტი დათმობილი 38 წუთიდან, პრეზიდენტი ასევე უარყოფითად გაშუქდა დროის 26 პროცენტის შემთხვევაში. დადებითი ტონის ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ლეიბორისტულ პარტიას (36 პროცენტი 9 წუთიდან) და კოალიცია ქართულ ოცნებას (19 პროცენტი 1 საათი და 26 წუთიდან). რაც შეეხება ურაყოფით ტონს, ის ძირითადად 4 სუბიექტის შემთხვევაში გამოვლინდა. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს ერთიან

ნაციონალურ მოძრაობას - 36 პროცენტი. უარყოფითად გაშუქდნენ ასევე მთავრობა (26%), პრეზიდენტი (21%) და კოალიცია ქართული ოცნება (17%). (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის შედეგები წააგავს საერთო ტონის სურათს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტონის შემთხვევაში. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებას (17%) და პრეზიდენტს (20%) გამოუვლინდა. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის იგივე ოთხი სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 34 პროცენტი, მთავრობა (18%), პრეზიდენტი (16%) და კოალიცია ქართული ოცნება (7%). (იხ. დიაგრამა Tone J5).

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში კავკასიაში სიუჟეტებს სათაურები არ აქვს, ამიტომ მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ 15-29 სექტემბრის პერიოდში ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებთან ერთად იმატა ისეთი შინაარსის სიუჟეტებმა, სადაც საერთო შთაბეჭდილება ამა თუ იმ სუბიექტზე იხრება უფრო დადებითისკენ ან უარყოფითისკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ზოგადი შთაბეჭდილების უარყოფითისკენ გადახრა უფრო მეტად შეინიშნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ხელისუფლებისა და მთავრობის მიმართ. თუმცა, არის სიუჟეტები სადაც კოალიცია ქართული ოცნებაც უარყოფითადაა წარმოჩენილი. ამ შთაბეჭდილებას უმეტესად ქმნის სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარები და მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნებული ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერები სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურების მონაწილეობით.

უარყოფითი სიუჟეტები მთვრობაზე, პრეზიდენტსა და ხელისუფლებაზე შედარებით უფრო გახშირდა 18 სექტემბერს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელების შემდეგ. 18 სექტემბერს კავკასიაზე პირველ სიუჟეტად გავიდა გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა. 19, 20 და 21 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებებში კი ძირითადი თემა გავრცელებული ჩანაწერები, მასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები და ამაზე გამოხმაურება იყო. ამ დღეებში გაშუქდა ისეთი თემები, როგორიცაა გლდანის ციხეში არსებული მდგომარეობა, საპროტესტო აქციები თბილისსა და რეგიონებში,

საერთაშორისო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურება, ახალი სასჯელაღსრულების მინისტრის დანიშვნა.

მაგალითად, 19 სექტემბრის პირველივე სიუჟეტში უარყოფითადაა გაშუქებული მთავრობა. სიუჟეტში საუბარია მინისტრების პასუხისმგებლობაზე, ახალაიას გადაყენებაზე და ა.შ. სიუჟეტში არსებული რესპონდენტებიდან ყველა უკმაყოფილებას გამოხატავს, ზოგი პირდაპირ აკრიტიკებს მთავრობის წევრებსა და პრეზიდენტს, ზოგიც, ზოგადად, აღშფოთებას გამოხატავს. თავად ჟურნალისტის ტექსტი, ძირითადად, ნეიტრალურია.

21 სექტემბრის სიუჟეტი ეხება გლდანის მე-8 საპყრობილეში არსებულ მდგომარეობას. უარყოფითადაა წარმოჩენილი ხელისუფლება. მართალია, უშუალოდ ხელისუფლებას იშვიათად ახსენებენ, თუმცა მთლიანი სიუჟეტის კონტექსტიდან გამომდინარე მასზე უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება. სტუდენტი მოითხოვს ძმები ახალიაების ციხეში ჩასმას, ასევე ყველა იმ ადამიანის დაპატიმრებას, ვინც დამნაშავეა. სიუჟეტში ხშირია მძიმე კადრები - როგორ მისდის გული და როგორ ხდება ცუდად ერთ-ერთი ქალბატონი, ასევე აჩვენეს პატიმარი, რომელიც გისოსებიდან ამბობს, რომ მას კლავდნენ, აწამებდნენ, ასახელებს კონკრეტულ სახელსა და გვარს. ერთ-ერთი პატიმრის დედა საუბრობს შვილზე და ამბობს, რომ მას ერთი კბილიც არა აქვს და რომ ის ვერ გადარჩება.[11]

15-29 სექტემბრის პერიოდი დაემთხვა ე.წ. "კომპრომატებით ომს" და გავრცელდა მთელი რიგი ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, რომლის მთავარი გმირები კოალიცია ქართული ოცნების ან მოქმედი ხელისუფლების წევრები იყვნენ. ეს ჩანაწერები კავკასიაზეც გაშუქდა.

მაგალითად, 27 სექტემბრის სიუჟეტი უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ქართულ ოცნებაზე, სადაც ნაჩვენებია კოალიციის წევრების სატელეფონო საუბრების ფარული აუდიო ჩანაწერები. აღნიშნულ აუდიო მასალაში პოლიტიკოსები უარყოფითად საუბრობენ თანაგუნდელებზე.

[11] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=BxDHjPZ-1ns&feature=youtu.be

ასევე, 28 სექტემბრის ერთ-ერთი სიუჟეტი ეძღვნება აღნიშნულ სატელეფონო აუდიო მასალას, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაცვის სამსახურის უფროსის განცხადებით კოალიციის ლიდერის დავალებით ხორციელდებოდა.

სიუჟეტებში გამოყენებული წყაროებისა და წარმოდგენილი აზრთა სხვადასხვაობის მხრივ, კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. სხვა არხების მსგავსად, კავკასიაზეც ხშირია მოკლე სიუჟეტები, რომელთა შემთხვევაშიც რთულია ბალანსზე საუბარი.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე სუბიექტებს 15-29 სექტემბრის პერიოდში სულ 4 სათი და 13 წუთი დაეთმოთ. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება. მისთვის დათმობილი დრო თითქმის ორჯერ მეტია მეორე ადგილას მყოფ მთავრობისთვის დათმობილ დროზე. ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს შედარებით ნაკლები დრო დაეთმოთ და ისინი, დათმობილი დროის მიხედვით, მესამე და მეოთხე ადგილას არიან. პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილება აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას და პრეზიდენტს. დანარჩენ სუბიექტებს პირდაპირი საუბრის წილი საკმაოდ დაბალი აქვთ. სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე თვალში საცემია უარყოფითი ტონის სიჭარბე მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის შემთხვევაში. უარყოფითად შუქდებოდა ასევე ცესკო. რაც შეეხება დადებით ტონს, მხოლოდ ორი სუბეიქტის შემთხვევაში დაფიქსირდა დადებითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტი: კოალიცია ქართული ოცნება და პრეზიდენტი. მეცხრე არხზე შეიმჩნევა კრიტიკული და უარყოფითი სიუჟეტის სათაურები პრეზიდენტის, მთავრობისა და მმართველი გუნდის მიმართ. სიუჟეტებში ეს სუბიექტები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 18 სექტემბერს

გავრცელებული ვიდეო ჩანაწერების შემდეგ. რაც შეეხება დადებითი შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებს, ასეთი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას და ბიძინა ივანიშვილს ეხება. სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები. მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი.

მეცხრე არხზე მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 13 წუთი დაეთმოთ. მთელი დროის 41 პროცენტი კოალიცია ქართულ ოცნებას ერგო. აღსანიშნავია, რომ მთელი მონიტორინგის განმავლობაში კოალიციას ამხელა პროცენტული მაჩვენებელი არც ერთ არხზე, რეალ ტვ-ის გარდა, არ ჰქონია. მეორე ადგილას კი, არის მთავრობა 21 პროცენტით. პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას თითქმის თანაბარი განაწილება აქვთ: პრეზიდენტი 13 პროცენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 11 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს 4 ან ნაკლები პროცენტი აქვთ. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილება აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (59% პირდაპირი და 41% ირიბი) და პრეზიდენტს (43% პირდაპირი და 57% ირიბი). მთავრობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი პირდაპირი საუბრის საკმაოდ პატარა წილი აქვთ: მთავრობა - 15 პროცენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 24 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე თვალში საცემია უარყოფითი ტონის სიჭარბე შემდეგი სამი სუბიექტის მიმართ: მთავრობა (57% თითქმის 55 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (55% 29 წუთიდან) და პრეზიდენტი (43% 32 წუთიდან). უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი აქვს ასევე ცესკოს - 25 პროცენტი, მისთვის დათმობილი 11 წუთიდან. უარყოფითი ტონის დაბალი მაჩვენებელი აქვს კოალიცია

ქართულ ოცნებასაც, 8 პროცენტი თითქმის 2 საათიდან. რაც შეეხება დადებით ტონს, მხოლოდ ორ სუბიექტს დაუფიქსირდა დადებითი ტონის შედარებით დიდი წილი: კოალიცია ქართული ოცნება - 22 პროცენტი და პრეზიდენტი 15 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია, განსაკუთრებით უარყოფითი ტონის შემთხვევაში. უარყოფითი ტონის წილი საკმაოდ დიდია ზუსტად იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც საერთო ტონში უარყოფითი გაშუქების ასევე დიდი წილი ჰქონდათ. ესენია: მთავრობა (52% 26 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (59% 13 წუთიდან), პრეზიდენტი (45% თითქმის 11 წუთიდან) და ცესკო (32% 4 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J6)

მონიტორინგის ამ პერიოდში მეცხრე არხზე შედარებით ნაკლებად შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები პრეზიდენტის, მთავრობისა და მმართველი გუნდის მიმართ. მაგალითები: „ტრანსპორტი პარტიული სიმბოლიკით: მმართველ პარტიას ახალგაზრდები ექსკურსიაზე გაჰყავს“ (15 სექტემბერი), „ამომრჩევლების მოსყიდვა: მმართველი პარტიის მაჟორიტარების კანდიდატს უჩივიან“ (18 სექტემბერი), ”ნაციონალების რღვევა: საჯარო მოხელეები თანამდებობეს ტოვებენ” (22 სექტემბერი), ”ცუდად დაანონსებული ტარიფი: ქუთაისიდან ფრენის ფასი 22 ევროზე გაცილებით ძვირია” (27 სექტემბერი), „მუქარა მე-18 კოლონიის პატიმრებზე - პატიმრებს არჩევნების შემდეგ გასწორებით ემუქრებიან“ (29 სექტემბერი).
აღსანიშნავია, რომ 18 სექტემბრიდან, გახმაურებული პატიმრების წამების კადრების ჩვენების შემდეგ განვითარებული მოვლენების გაშუქებისას, მეცხრე არხზე უმეტესად აღწერილობითი შინაარსის სათაურები იყო.

თვისებრივი მონიტორინგის დროს, 15-დან 29 სექტემბრის ჩათვლით, მეცხრე არხზე ჭარბობს უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები, სადაც ხელისუფლება, მთავრობა, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული. ამას განაპირობებს როგორც რესპონდენტების კომენტარები, ასევე სიუჟეტის საერთო კონტექსტი და ჟურნალისტის ტექსტი. ამასთან, ასეთი სიუჟეტების უმეტესად

დაუბალანსებელია და მხოლოდ ერთი მხრიდან არის გაშუქებული სადაც არ არის წარმოდგენილი ხელისუფლების, მთავრობისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კომენტარები. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 18 სექტემბერს გავრცელებული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების შემდეგ.

მეცხრე არხზე ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი, რაც კონკრეტულ შემთხვევებში ამძიმებს და ამძაფრებს სურათს.

მაგალითად, 18 სექტემბერს გასულ სიუჟეტში, „ამომრჩეველთა მოსყიდვა ფოთში: მმართველი პარტიის მოჟორიტარობის კანდიდატს უჩივიან“, ნაჩვენებია თენგიზ სარიშვილი, რომელიც ხალხთან შეხვედრის დროს ურეკავს ვინმე ნუგზარს და სთხოვს, რომ იმ დღესვე მივიდეს ადგილზე და წყლის პრობლემა მოუგვაროს ხალხს. მაჟორიტარობის კანდიდატი ანალოგიურად იქცევა სხვა შეხცედრაზეც, ხალხს გზების დაგებას ჰპირდება და ამისთვის ახორციელებს ზარს შესაბამის ადამიანთან. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა კმაყოფილია და ეს რესპონდენტების ინტერვიუშიც ჩანს, ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უარყოფით კონტექსტშია გაშუქებული. სიუჟეტში სხვა რესპონდენტების კომენტარების მიხედვით (კოალიცია ქართული ოცნებიდან ეკა ბესელიას შტაბის იურისტი ლილი გელაშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან თათული თოდუა) ადგილი აქვს ამომრჩეველთა მოსყიდვას და საარჩევნო კოდექსის მიხედვით მან თავისი კანდიდატურა უნდა მოხსნას. სიუჟეტში არ არის ნაჩვენები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის კომენტარი, თუმცა ნათქვამია, რომ თენგიზ სარიშვილი და მისი შტაბი ამაზე კომენტარს არ აკეთებს.[12]

26 სექტემბრის სიუჟეტი „პრეზიდენტი გაეროში: სააკაშვილი გაეროს 67-ე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა“, უარყოფითია მიხეილ სააკაშვილის მიმართ. სიუჟეტია აგებულია პრეზიდენტის გამოსვლაზე გაეროში, სადაც მან ისაუბრა ციხეებში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით მთავრობის რეაქციაზე. შესავალშივე ჟურნალისტის ტექსტი საკმაოდ

[12] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=oT9KYZ-K8Xo&feature=youtu.be

უარყოფითია, ის ხაზს უსვამს, რომ პრეზიდენტს სიტყვით გამოსვლა „დაცარიელებული დარბაზისა და იქ დარჩენილი მძინარე ადამიანების ფონზე უწევდა“. სხდომის კადრები ისეა შერჩეული, რომ ძირითადად ცარიელი სკამები ან მობილური ტელეფონით გართული სხდომის მონაწილე ჩანს. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია გაეროს შენობასთან ქართველი ემიგრანტების საპროტესტო აქციის მონაწილეები როგორ ლანძღავენ და აგინებენ პრეზიდენტს, როცა მისი მანქანა ჩერდება გაეროს შენობასთან. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტები კრიტიკულნი არიან მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შეფასებაში. ბოლოს ჟურნალისტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ეს გამოსვლა ქვეყნის იმიჯზე კარგად არ აისახება.[13]

27 სექტემბრის სიუჟეტი „ცუდად დაანონსებული ტარიფი: ქუთაისიდან ფრენის ფასი 22 ევროზე გაცილებით ძვირია” უარყოფითად წარმოაჩენს პრეზიდენტს და მთავრობას. სიუჟეტის მთავარი გზავნილი არის ის, რომ ხელისუფლებამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მოსახლეობას ავიაბილეთებზე დაბალი ფასების შესახებ, რომლი შესახებაც პრეზიდენტმა ქუთაისის აეროპორტის გახსნაზე ისაუბრა. სიუჟეტის დასაწყისშივე ხაზი აქვს გასმული იმას, რომ აეროპორტი წინასაარჩევნოდ ნაადრევად გახსნეს. კადრებიც ისეა შერჩეული რომ დაუსრულებელი შენობა ხშირად ჩანს. ჟურნალისტი იმასაც აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს ასეთი „წვრილმანები არ ადარდებს“. სიუჟეტში ნაჩვენებია კადრები პრეზიდენტის გამოსვლიდან ქუთაისის აეროპორტის გახსნაზე, სადაც ის ამბობს, რომ ბილეთის ფასი მინიმუმ 22 ევრო იქნება და მაქსიმუმ 100 ევრო. ასევე ნაჩვენებია კადრები, სადაც ვერა ქობალია ბილეთის ფასად 50 ევროს ასახელებს. ამ ყველაფრის მერე კი, სიუჟეტში წარმოდგენილი ორი რესპონდენტი ამ ფასების არარეალურობაზე საუბრობს.[14]

29 სექტემბრის სიუჟეტი „პრეზიდენტი ფოთში: სააკაშვილმა აღდგენილ ეკლესიაში მხარდამჭერები შეკრიბა” უარყოფით შთაბეჭილებას ქმნის მიხეილ სააკაშვილზე. როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს სიუჟეტის დასაწყისშივე, პრეზიდენტი სიმღერის „მიშა მაგარიას“ ფონზე შევიდა ეკლესიაში მხადამჭერებთან ერთად. ხაზგასმულია, რომ სააკაშვილმა არ გაითვალისწინა პატრიარქის მოწოდება, რომ ტაძრის კურთხევა არჩევნების შემდეგ უნდა

[13] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=DkcILmKljYk&feature=youtu.be
[14] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=srZlqrLZBG0&feature=youtu.be

მომხდარიყო და ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად უნდა დასწრებოდა ლოცვას, და მაინც შეკრიბა თავისი მხარდამჭერები ტაძარში. სიუჟეტში, ასევე, გაიხსენეს ინციდენტი, რომელიც ტაძრის ეზოში გაკრულ სააკაშვილის პლაკატებს მოჰყვა ჟურნალისტსა და სასულიერო პირს შორის. ამაზე ტაძრის ერთ-ერთი სტიქაროსანი ამბობს, რომ წამების კადრების გავრცელების მერე თვითონ ამოჭრა სააკაშვილის გამოსახულება, რადგან ასეთი ადამიანი არ უნდა იყოს პატრიარქის გვერდით გამოსახული.[15]

მეცხრე არხმა აქტიურად გააშუქა 18 სექტემბერს გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა და მასთან დაკავშირებული მოვლენები. 19, 20 და 21 სექტემბრის გამოშვებები თითქმის მთლიანად ეხებოდა წამების ფაქტებთან დაკავშირებულ თემებს: უშუალოდ წამების ამსახველი ვიდეო მასალაც და მათი გავრცელების ვერსიები, საპროტესტო აქციები, ხელისუფლების წევრების განცხადებები, პოლიტიკური პარტიების გამოხმაურება, მინისტრების გადადგომა და ახლების დანიშვნა, ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებული საკითხები, პატიმრების მდგომარეობა, საერთაშორისო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურება და სხვა. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, სხვადასხვა სიუჟეტებში მეორდებოდა, მანამდე უკვე გამოქვეყნებული, წამების ამსახველი ვიდეო მასალები. ასევე, შუქდებოდა საქართველოს ციხეებში პატიმრების წამების სხვა ფაქტები, რომლებსაც ყოფილი პატიმრები ან მათი ნათესავები ყვებიან.

22 სექტემბრის სიუჟეტი „მიხეილ სააკაშვილი ბათუმში: პრეზიდენტის თქმით პატიმრების გაუპატიურება ევროპულ ქვეყნებშიც ხდება" უარყოფითია მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ხაზგასმულია პრეზიდენტის ფრაზა: „ის რაც ჩვენ ვიხილეთ ოთხ დღეში, ხდება ყოველდღე ყველგან." მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი არსად ამბობს სიტყვა „გაუპატიურებას" ჟურნალისტის მხრიდან ასე ხდება ამის ინტერპრეტირება.

რაც შეეხება მონიტორინგის პერიოდში განვითარებულ ე.წ. „კომპრომატების ომს", ამ თემას მეცხრე არხმაც მიუძღვნა სიუჟეტები. ნაჩვენები იყო როგორც კოალიციის წევრების ფარული სატელეფონო აუდიო ჩანაწერები, ასევე ბადრი პატარკაციშვილის სახლში გადაღებული ფარული ვიდეო ჩანაწერები.

[15] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=SMA591D4G0U&feature=youtu.be

ხელისუფლებაზე უარყოფითი შთაბეჭდილებების გარდა მეცხრე არხზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც ზოგადი შთაბეჭდილება დადებითია კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ამ პერიოდში აქტიურად შუქდებოდა კოალიციის აქციები, შეკრებები, გამოსვლები. თითქმის ყევლა ასეთი სიუჟეტი დადებითად წარმოაჩენდა ქართულ ოცნებას. შერჩეული იყო კადრები სადაც ბევრი აქტივისტი ჩანს, დროშებით, მაისურებით ან პარტიის სხვა ატრიბუტიკით, ისმის ხალხის სკანდირება და ოვაციები. რესპონდენტები, როგორც მოქალაქეები, ისე პარტიის წევრები, რომლებიც კომენტარს აკეთებენ ასეთ სიუჟეტებში ყოველთვის დადებითად საუბრობენ ხალხის აქტივობაზე, შექმნილ დადებით განწყობაზე და კოალიციის ლიდერზე. ხანდახან ჟურნალისტის მიმიკაც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტის შესავალშივე, როდესაც ის ღიმილით საუბრობს ამ თემაზე.

მეცხრე არხზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც კონკრეტული სუბიექტის მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- „ბოროტი ხულიგნობის შემდეგ ბოროტი ხუმრობა - წითელი ხუთიანებით აჭრელებული ჭორვილა და ნაციონალების უკანონო აგიტაცია.“ (17 სექტემბერი, „ხუთიანები ჭორვილში: ნაციონალებმა ხუთიანები ივანიშვილის ჭიშკარზეც დააწერეს“).
- „უკანონობა კანონის სახელით - პირველად საქართველოს ისტორიაში ხელისუფლება საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეო გადაღების აკრძალვას აპირებს.“ (24 სექტემბერი, პირველი სიუჟეტი).
- „საქართველოს პრეზიდენტი კი ოპონენტებს ერთ კვირაში ბეჭებზე დადებას ჰპირდება.“ (24 სექტემბერი, სიუჟეტი „შეხვედრები გურჯაანში: სააკაშვილი ოპონენტებს ჩოქბჯენში ჩაყენებას ჰპირდება”)
- „ქრისტიან-დემოკრატები და ევროპელი დემოკრატები, ანუ გიორგი თარგამაძე და პაატა დავითაია, ორივე პოლიტიკური სუბიექტი დღეს ცდილობს თავისი გადაწყვეტილება გაამართლოს და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.“ (25 სექტემბერი, სიუჟეტი „შეზღუდვები მედიისთვის: ქრისტიან-დემოკრატები ხელისუფლებას ინტერესების დაცვაში ადანაშაულებენ”)

- „ყიდულობს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ევროპაში მაღალჩინოსნებს? ” - ჟურნალისტი ამ შეკითხვით იწყებს სიუჟეტს. (26 სექტემბერი, სიუჟეტი ”მედია ბილდტზე” შვედური მედია კარლ ბილდტის კავშირებს იკვლევს”)
- „კიდევ ერთი დაუმთავრებელი შენობა, რომელიც დღეს პრეზიდენტმა გახსნა“ (27 სექტემბერი, ”ცუდად დაანონსებული ტარიფი: ქუთაისიდან ფრენის ფასი 22 ევროზე გაცილებით ძვირია”)

რეალ ტვ

რეალ ტვ-ზე მონიტორინგის ამ პერიოდში სუბიექტებს სულ 7 საათი და 17 წუთი დაეთმო. პირველ ადგილას, საკმაოდ დიდი განსხვავებით სხვა სუბიექტებთან, დგას კოალიცია ქართული ოცნება. პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ სუბიექტებს შორის, რომელთაც ნახევარ საათზე მეტი დრო დაეთმოთ, პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვთ ყველაზე დიდი პირდაპირი საუბრის წილი. თვალში საცემია, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მდგომი კოალიცია ქართული ოცნების უარყოფითი ტონით გაშუქების ძალიან დიდი წილი. როგორც საერთო ტონის შედეგებში, ისე ჟურნალისტიტს ტონში გამოიკვეთა ერთი და იგივე სამი სუბიექტი, რომელთაც დადებითი გაშუქების ყველაზე დიდი წილი აქვთ. ესენია: პრეზიდენტი, მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე დაფიქსირდა გამოკვეთილად უარყოფითი და ირონიული შინაარსის სათაურები, ძირითადად, კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. სიუჟეტებში, ძირითადად, საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად დადებითისკენ ან მკვეთრად უარყოფითისკენ იხრება. დადებითი სიუჟეტების უმეტესობა ეხება პრეზიდენტსა და მთავრობას. ხოლო, უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები, ძირითადად, კოალიცია ქართულ ოცნებას და ბიძინა ივანიშვილს. ეს ტენდენცია გრძელდება 18 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც. ხშირია მონტაჟის, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

რეალ ტვ-ზე მონიტორინგის ამ პერიოდში სუბიექტებს სულ 7 საათი და 17 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დრო ამ არხზე, 43 პროცენტი, დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. თითქმის ორჯერ ნაკლები დრო დაეთმო პრეზიდენტს - 23 პროცენტი. მესამე და მეოთხე ადგილზე არიან მთავრობა 16 პროცენტით და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 8 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი მხოლოდ 3 პროცენტი ან ნაკლები ერგოთ. (იხ. დიაგრამა Time 7)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ 4 სუბიექტს შორის, რომელთაც ნახევარ საათზე მეტი დრო დაეთმოთ, 2 სუბიექტს პირდაპირი საუბრის წილი 78 პროცენტზე მეტი აქვთ. ესენია: პრეზიდენტი - 81 პროცენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 78 პროცენტი. დანარჩენ ორს კი, პირდაპირი და ირიბი საუბრის მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილება აქვთ: კოალიცია ქართული ოცნება - 45% პირდაპირი და 55 ირიბი და მთავრობა - 47% პირდაპირი და 53% ირიბი. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, რეალ ტვ-ზე თვალში საცემია 3 სუბიექტის დიდი წილი დადებითი და ერთი სუბიექტის უარყოფითი ტონი. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მდგომი კოალიცია ქართული ოცნების უარყოფითი ტონით გაშუქების წილი 72 პროცენტია, დათმობილი, სამსაათნახევრიდან. რაც შეეხება დადებით ტონს, შემდეგი სამი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა დადებითი ტონის საკმაოდ დიდი წილი: პრეზიდენტი (78% 1 საათი და 44 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (66% 43 წუთიდან), მთავრობა (22% 1 საათი და 16 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებისას იკვეთება, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში უარყოფითი ტონის უფრო მეტი წილი აქვს - 83 პროცენტი, ვიდრე საერთო ტონის შედეგებში. მსგავსია დადებითი ტონის განაწილებაც. მთავრობა, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ის სუბიექტებია, რომლებსაც დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი აქვთ: მთავრობა (21%), პრეზიდენტი (64%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (40%). (იხ. დიაგრამა Tone J7)

რეალ ტვ-ზე ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები. თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდში დაფიქსირდა გამოკვეთილად უარყოფითი და ირონიული

შინაარსის სათაურებიც, ძირითადად, კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. მაგალითად, „სეპარატისტული ოცნება“ (17 სექტემბერი), „ოლიგარქის ტყუილი“ (18 სექტემბერი), ”ივანიშვილის ჩავარდნილი გეგმა” (24 სექტემბერი), ”ქურდების ”ქართული ოცნება” (26 სექტემბერი), ”ივანიშვილის ცინიკური განცხადება” (26 სექტემბერი), „ივანიშვილი პატრიარქს შეურაცხყოფს“ (27 სექტემბერი), ”ოლიგარქიული იარაღის სკანდალი” (28 სექტემბერი).

რეალ ტვ-ის სიუჟეტებში, ძირითადად, საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად დადებითისკენ ან მკვეთრად უარყოფითისკენ იხრება. იშვიათია ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები. ამასთან, დადებითი სიუჟეტების უმეტესობა ეხება პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, ხელისუფლებას და ერთიან ნაციონალური მოძრაობასა.

მაგალითად, 17 სექტემბრის სიუჟეტში, „პრეზიდენტი კახეთში“, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მიმართ საკმაოდ დადებითია. ნაჩვენებია პრეზიდენტისა და პირველი კლასის მოსწავლეებთან შეხვედრის კადრები თელავსა და საგარეჯოში, ასევე, სააკაშვილის შეხვედრა მასწავლებლებთან. მას ერთ-ერთი ქალბატონი მთელი კოლექტივის სახელით მადლობას უხდის. პრეზიდენტი საუბრობს, თუ რა კარგად არის მოწყობილი საკლასო ოთახი. თუმცა, აღნიშნავს რომ ამ ოთახის მთავარი სილამაზე ბავშვებია. მიხეილ სააკაშვილს თან ახლავს განათლების მინისტრი, ხატია დეკანოიძე. პრეზიდენტი მასთან ერთად საკლასო ოთახში საუბრობს სკოლების რეაბილიტაციაზე, სპორტული ცენტრების გაკეთებასა და სასწავლებლების კომპიუტერებით უზრუნველყოფაზე. პარალელურად, სააკაშვილი ხატია დეკანოიძეს უსმევს კითხვებს სკოლებთან დაკავშრებით.[16]

უარყოფითი სიუჟეტი იყო კოალიცია ქართული ოცნების და ბიძინა ივანიშვილის მიმართ ასევე 24 სექტემბერს გასული სიუჟეტი „ოცნება“ ზუგდიდში“. სიუჟეტი ზუგდიდში გამართულ აქციას ეძღვნებოდა. ჟურნალისტის ტექსტი საკმაოდ უარყოფითი იყო, ის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის თითოეულ ნაწილს უკეთებდა კომენტარს და აქციის თითქმის ყველა კადრიც ასევე იყო კომენტირებული. ხაზგასმული იყო ის, რომ ხალხი სხვა რეგიონებიდან იყო ჩამოსული მიკროავტობუსებით და იქ მხოლოდ ზუგდიდელები არ

[16] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=w0cnFfJx7gM&feature=youtu.be

იყვნენ. ამაზე აქციის ერთ-ერთი მონაწილეც საუბრობს. აღნიშნულია, რომ აქციის შემდეგ ზუგდიდი „პარალიზებული“ იყო, რადგან ყველა ეს მიკროავტობუსი ქალაქს ტოვებდა, ნაჩვენებია საცობის კადრებიც. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია ძველი ვიდეო მასალა, სადაც კოალიციის წევრები ნარკოტიკულ ნივთიერებას მოიხმარენ. ჟურნალისტი უარყოფითად საუბრობს ასევე ირაკლი ალასანიასა და თინა ხიდაშელზე.[17]

მონიტორინგის ამ პერიოდში ხშირი იყო პრეზიდენტისა და მმართველი გუნდის დადებით კონტექსტში გაშუქება. აქტიურად შუქდებოდა მათი აქციები, შეხვედრები მოსახელობასთან და ამომრჩევლებთან. პრეზიდენტის ან მთავრობის სხვა წევრების სიტყვით გამოსვლა ვრცლად იყო წარმოდგენილი და საკმაო დრო ეთმობოდა. ასეთ სიუჟეტებში ხშირია კადრები სადაც ჩანს ბევრი ხალხი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ატრიბუტიკით, დროშებით. ისმის ოვაციები და პრეზიდენტის სახელის სკანდირება. ასევე, ხშირია კადრების, სადაც პრეზიდენტი ხვდება მოსახლეობას, ესალმება, ბავშვებს ეხუტება და ა.შ.

რეალ ტვ-მ, ისევე როგორც სხვა არხებმა, გააშუქა 18 სექტემბერს გავრცელებული პატიმრების ამსახველი ვიდეო მასალასთან დაკავშირებული ინფორმაცია. თუმცა, რუსთავი 2-ისა და იმედის მსგავსად, რეალ ტვ-მაც ეს ყველაფერი უფრო მეტად გააშუქა ამ კადრების დაკვეთის კუთხით. ხაზი ყოველთვის გასმული იყო იმაზე, რომ ეს კადრები დაკვეთილი იყო თამაზ თამაზაშვილის მიერ და ეს ქართული ოცნების გარკვეულ სქემად წარმოაჩინა. 18 სექტემბერს ორი სიუჟეტი („დანაშაულებრივი გეგმა“ და „სკანდალური კადრები“) მიეძღვნა ამ თემას და ორივე მათგანი ეხებოდა თამაზაშვილს და მის კავშირს ამ ყოველივესთან. ნაჩვენები ცემის კადრების ფონად ჟურნალისტის ტექსტი ასეთია:
„გაირკვა, რომ ამ ძალადობის უკან დიდი ფული და გარკვეული პოლიტიკური განზრახვა დევს... თუმცა, იმის ხაზგასასმელად, რომ, თითქოს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულებს სასტიკად უსწორდებიან ქურდების შეგინების მოძველებული მეთოდიც გამოიყენეს.“

19 სექტემბერს გაშუქდა პატიმრების ცემის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მოქმედებები, ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების რეაქციები გავრცელებულ ფაქტზე, ამერიკის

[17]იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=_hRA6l3pq84&feature=youtu.be

საელჩოს განცხადება, უცხოური მედიის გამოხმაურება, განხორციელებული ცვლილებები პენიტენციალურ სისტემაში და სხვა. ასევე, გაშუქდა წამების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 19 სექტემბერს აქციის იმ ორ მონაკვეთზე გაკეთდა აქცენტი, სადაც ჩანს გურამ ჩახვაძისა და სტუდენტების კონფლიქტი და აქციის მონაწილეთა უარი ჯონდი ბაღათურიას მოწოდებაზე, გაჰყოლოდნენ პრეზიდენტის სასახლესთან. 20 და 21 სექტემბერსაც ეთერი იგივე მოვლენების გაშუქებას მიეძღვნა, გაშუქდა გლდანის ციხესთან განვითარებული მოვლენები. აღსანიშნავია, რომ 20 სექტემბრის გამოშვებაში ორ-ორჯერ გავიდა ერთი და იგივე სათაურისა და შინაარსის მქონე სიუჟეტები: „ახალაიას განცხადება გადადგომაზე“ და „მინისტრის მოადგილის განცხადება“.

უნდა აღინიშნოს, რომ პატიმართა გაუპტიურების ვიდეო მასალა ამ არხზე საერთოდ არ გასულა. საერთო ჯამში, რეალ ტვ-ზე, ამ პერიოდში გასული თითქმის ყველა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა პატიმრების წამების ფაქტებს, ერთის მხრივ, უფრო მეტად ეხებოდა მთავრობისა და ხელისუფლების რეაქციას მიმდინარე მოვლენებზე და მათ დადებით კონტექსტში წარმოაჩენდა. მეორეს მხრივ, ეხებოდა კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელიც ამ ყველაფრის დაგეგმვასა და მოწყობაში იყო დადანაშაულებული.

მაგალითად, 21 სექტემბრის სიუჟეტი „დასავლეთის გამოხმაურება“ დადებითად წარმოაჩენს საქართველოს მთავრობას. რესპოდენტების ინტერვიუებში ჭარბობს დადებითი შეფასებები მთავრობის მიმართ. თავად ჟურნალისტიც აღნიშნავს, რომ მთავრობის ქმედებებს დადებითი შეფასებები მოჰყვა. ამასთან, ჟურნალისტი ვრცლად აღწერს, თუ რა საშინელებები ხდებოდა აბუ გრეიბსა და გუანტანამოში - აჩვენებენ წამების კადრებს, ასევე ელექტროსკამს. ჟურნალისტი იმასაც აღნიშნავს, რომ აშშ-ში სიკვდილით დასჯაც აქვთ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი ცდილობს წამების სხვა ფაქტებზე საუბრით აჩვენოს, რომ ეს პრობლემა ყველგან დგას.[18]

მეორეს მხრივ, რეალ ტვ-ზე დიდი დრო ეთმობა ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია ქართული ოცნების გაშუქებას. უმეტეს შემთხვევებში მათზე საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად უარყოფითი რჩება. სიუჟეტებში ხშირია მონტაჟის, კადრებითა და მუსიკით

[18] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=gE7rlxBpxIo&feature=youtu.be

მანიპულირების შემთხვევები. ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლების ირონიული ეპითეტებით მოხსენიება, რაც ხშირად ჟურნალისტის მხრიდანაც ფიქსირდება. ეს ტენდენცია ნარჩუნდება 18 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც.

19 სექტემბრის სიუჟეტი „საგამოძიებო მოქმედებები“ ეხებოდა, პატიმრების წამებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის გამოძიებას. სიუჟეტში გაშუქებულია კადრები, სადაც ბრალდებულები ყვებიან თუ როგორ გადაიღეს გამოქვეყნებული კადრები და ვისი დავალებით. ასევე აღნიშნავენ, რომ კოალიცია ქართული ოცნება შევარდნაძის დროინდელი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელ, და ახლა უკვე პატიმარ, თამაზაშვილის დაცვას ომბუდსმენს სთხოვს.

18 სექტემბერს პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელებას მოჰყვა რამდენიმე ფარული ჩანაწერის გავრცელებაც, რომლის მიხედვითაც კოალიცია ქართული ოცნების წევრები ერთმანეთზე უარყოფითად საუბრობენ. სხვა არხების მსგავსად, რეალ ტვ-მაც აღნიშნულ ფარულ ჩანაწერებს რიგი სიუჟეტები მიუძღვნა, რომლებიც ძირითადად უარყოფითად აშუქებდნენ კოალიციასა და მის ლიდერს.

მაგალითად, 27 სექტემბრის სიუჟეტი ”ჩანაწერები დაცვის წევრისგან” უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია ქართულ ოცნებაზე. სიუჟეტი საკმაოდ ვრცელია. ის დაახლოებით 37 წუთი გრძელდება და თითქმის მთელი ამ დროის მანძილზე აჩვენებენ ვიდეო ჩანაწერებს, სადაც ქართული ოცნების წევრები ერთმანეთს უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებენ. ასევე, ნაჩვენებია ივანიშვილის დაცვის წევრის მიერ გავრცელებული ვიდეო, სადაც ის ამბობს, რომ კოალიციის წევრების საუბრის მოსმენა უშუალოდ ივანიშვილის დავალებით ხდებოდა.

რეალ ტვ-ზე სიუჟეტებში ზოგად შთაბეჭდილებას, როგორც უარყოფითს, ასევე დადებითს, კიდევ უფრო ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- „რაც არ უნდა შეგვილოცოს ბიძინამ, რეალტივის ვერ გააქრობს” (17 სექტემბერი, სიუჟეტი „სეპარატისტული ოცნება“).

- „მეოცნებეებმა ახალქალაქში საბავშვო სკვერიც კი ვერ შეავსეს, ამიტომაც ერთ მხარეს პატარები ერთობოდნენ, მეორე მხარეს ბიძინა.” (17 სექტემბერი, სიუჟეტი „სეპარატისტული ოცნება“).
- „ასეთ სეპარატისტულ ოცნებას ქართული ოცნება, მართლაც, მთვარეზე თუ აისრულებს.” (17 სექტემბერი, სიუჟეტი „სეპარატისტული ოცნება“).
- „იმასაც ფიქრობენ [პატიმრები], რომ მათ „სვაბოდას“ ივანიშვილი მოუტანს; მილიარდერს კი აქ „ბიძაჩვენს“ ეძახიან.“ (21 სექტემბერი, სიუჟეტი „ვითარება გლდანის ციხესთან“).
- ”ქართულ ოცნებას საჯარო მოხელეებისგან ხელისუფლების მიმართ რაც შეიძლება მეტი აგრესია და არაერთი პროვოკაციის ინსცენირება სჭირდება.” (24 სექტემბერი, სიუჟეტი ”ოცნების” პროვოკაციული გეგმა”)
- ”საქართველოში კი ამ თანხას წინასაარჩევნოდ, ალბათ, მხოლოდ ერთი ადამიანი [ბიძინა ივანიშვილი] გადაიხდიდა. ის, ვინც არა არჩევნებისთვის, არამედ არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობისთვის ემზადება.” (24 სექტემბერი, სიუჟეტი ”ოცნების” პროვოკაციული გეგმა”)
- ”ქართული ოცნების ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატის ვალერი გელაშვილის ჯიბე ფულით სავსეა.” (24 სექტემბერი, სიუჟეტი ”ვალერი გელაშვილის არჩევანი”)
- „საქართველოს ნაკრების ავტოგოლების ავტორმა სამართალდამცველებს ნაძირლები ეძახა.“ (25 სექტემბერი, სიუჟეტი ”ინციდენტი სამტრედიაში”)

- „მისი უდიდებულესობა საქართველოს მოსახლეობა, ქართველო ხალხი, როგორც მათ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა უწოდა, ასევე კმაყოფილი ტოვებდა დღეს ეროვნულ სტადიონს.” (28 სექტემბერი, სიუჟეტი ”წინასაარჩევნო შეხვედრა ხალხთან”)

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პერიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების ნაწილი განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით.

რეალ ტვ-ზე აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან საერთოდ არ არის მოცემული ამა თუ იმ ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტი.

მაგალითად, 25 სექტემბრის სიუჟეტში, სადაც საუბარია ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის დამოკიდებულებაზე რელიგიისა და საქართველოს პატრიარქისადმი. ჟურნალისტი ამბობს, რომ ივანიშვილების ოჯახს პატრიარქის მიმართ დამცინავი და ცინიკური დამოკიდებულება აქვს. ამასთან ჟურნალისტი იმასაც უსვავს ხაზს, რომ ივანიშვილმა პატრიარქის პასუხსიმგებლობის საკითხი დააყენა სამების ტაძრის მშენებლობის შემდეგ და ძალოვან სტრუქტურებს განცხადებითაც მიმართა. სიუჟეტში მხოლოდ ერთი რესპონდენტია: ამერიკელი პედაგოგი, რომელიც ივანიშვილებთან ცხოვრობდა. ის ამბობს, რომ მას არ უნახავს ივანიშვილების ოჯახში ხატები. რაც მისი აზრით უცნაურია, რადგან ყველა სხვა ოჯახში, სადაც ის ყოფილა საქართველოში, არის ხატები. რესპონდენტი იმასაც ამბობს, რომ ერთხელ ბიძინა ივანიშვილის შვილთან ღმერთზე საუბრისას მან თქვა, რომ არ არის დარწმუნებული ღმერთის სწამს თუ არა. ამერიკელ მასწავლებელს არ უხსნებია ოჯახის დამოკიდებულება პატრიარქის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტში ჟურნალისტის ტექსტი არაფრითაა გამყარებული.[19]

სექტემბრიდან პირველი არხის, რუსთავი 2-ისა და იმედის მსგავსად, რეალ ტვ-მ საინფორმაციო გამოშვებაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება. ამ ჩართვებში მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ფიგურები. მონიტორინგის ამ პერიოდში (15-29 სექტემბერი) „რეალობაში" სულ 2 ასეთი ჩართვა მოხდა და მათ საშუალოდ 15 წუთი დაეთმოთ. თითოეულ ჩართვაში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი. მონიტორინგის პერიოდში გასულ საინფორმაციო გადაცემებს შემდეგი ორი რესპოდენტები სტუმრობდა: პეტრე მამრაძე (მწვანეთა პარტია) და გიორგი ჩაჩანიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).

ამ ჩართვებში ჟურნალისტი ყოველთვის აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ მაშინ აწყვეტინებს, როცა დამატებითი კითხვის დასმა სურს ან თემიდან გადახვევას აქვს ადგილი. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი უმეტესად ნაკლებად

[19]იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=iOHjQdOSVl4&feature=youtu.be

მომთხოვნია. შედარებით მკაცრი კითხვები კი ეხება კოალიცია ქართულ ოცნებას და ბიძინა ივანიშვილს.

აღსანიშნავია, რომ 18 სექტემბერს, განვითარებული მოვლენების შემდეგ გასულ ჩართვაში, სადაც სტუმარი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ჩაჩანიძე, ჟურნალისტის პირველივე კითხვა ასეთი იყო:

„ბატონო გიორგი, პირველი შეკითხვა თამაზ თამაზაშვილის შესახებ გავრცელებული სკანდალური ვიდეო მასალით მინდა დავიწყოთ. როგორ ფიქრობთ, წინასაარჩევნოდ გამოაშკარავებული ეს ფაქტი, რამდენად უარყოფით გავლენას მოახდენს ქართული ოცნების რეიტინგზე? ეს იმ ფონზე, როცა ივანიშვილი თამაზაშვილს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს უმიზნებდა.“

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1



დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1



დიაგრამა Tone J1



დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2



დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5



დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7